საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი
8928

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა
და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
2 დეკემბერი
1941 წ.
№ 285 (6290)
ფასი 15 კაპ.

უფრო მაგრად დავარტყათ მტერს!

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ სასიხარულო ცნობას მტერზე გამარჯვების შესახებ, რაც მოიპოვეს როსტოვისა და სამხრეთის ფრონტების ჩვენმა ჯარებმა. გენერლების ხარიტონოვისა და რემიზოვის მამაცმა ნაწილებმა გაათავისუფლეს როსტოვი გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან, სავსებით გაანადგურეს გენერალ კლაისტის ჯგუფი ორი სატანკო დივიზიის, მოტოდივიზიისა და „სს" დივიზია „ვიკინგის" შემადგენლობით. საბჭოთა ჯარები მისდევენ მტერს, რომელიც უწესრიგოდ იხევს ტაგანროგის მიმართულებით. 5.000-ზე მეტი გვამი დასტოვეს გერმანელებმა ბრძოლის ველზე. ჩვენ ხელთ ვიგდეთ დიდძალი დავლა.

გუშინ ამხანაგმა **სტალინმა** მისალმება გაუგზავნა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების მთავარსარდალს მარშალ ამხ. ტიმოშენკოსა და სამხრეთის ფრონტის სარდალს გენერალ-პოლკოვნიკ ამხ. ჩერევიჩენკოს:

„გილოცავთ მტერზე გამარჯვებას და როსტოვის განთავისუფლებას გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებისაგან.

მივესალმები მე-9 და 56-ე არმიების ჯარებს გენერლების — **ხარიტონოვისა** და **რემიზოვის** მეთაურობით, რომლებმაც ჩვენი სახელოვანი საბჭოთა დროშა აღმართეს როსტოვში".

მტრის ჯარებზე ახალი დარტყმით, როსტოვში ჩვენი სახელოვანი საბჭოთა დროშის აფრიალებით წითელმა არმიამ ცხადჰყო თავისი მზარდი ძლიერება. როსტოვთან გერმანელ ოკუპანტებზე დარტყმა დიდებული წინამორბედია მტერზე იმ მძლავრი კონტრდარტყმისა, რომელსაც ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით განახორციელებს წითელი არმია, ომის ქარცეცხლში სულ უფროდაუფრო რომ იწრთობა. ეს ჟამი დადგება და გერმანელი ფაშისტი ოკუპანტები თავისი სიცოცხლით ზღავენ ჩვენი ქალაქებისა და სოფლების დანგრევას, ჩვენი მიწა-წყლის გაძარცვას, საბჭოთა ადამიანების აწიოკებას და აბუჩად აგდებას!

მოსკოვი, ლენინგრადი, როსტოვი, სევასტოპოლი — ჩვენი სამშობლოს ამ ქალაქებისაკენ არის ამჟამად მიპყრობილი მთელი მსოფლიოს ყურადღება. აქ, საბჭოთა დედაქალაქის მისადგომებთან, ლენინის ქალაქის კედლებთან, ჩრდილოეთ კავკასიის კართან, ყირიმის საზღვაო ციხესთან სწარმოებს წითელი არმიის გუმბერაზული ბრძოლა გერმანელ ოკუპანტთა ურდოების წინააღმდეგ. საბჭოთა ჯარები გმირულ წინააღმდეგობას უწევენ ჰიტლერელთა ბანდებს, რომელნიც გაათრებით მოისწრაფიან ჩვენი ქვეყნის სიღრმეში.

უკვე ორი კვირაა, რაც მოსკოვთან ვითარდება გერმანელთა მეორე, ნოემბრის შეტევა. ნოემბერში, ისე როგორც ოქტომბერში, გერმანელი ფაშისტების სარდლობამ ვერ შესძლო სწრაფი იერიშით მოეღწია ჩვენს დედაქალაქამდე. მოსკოვის მისადგომებთან დღედაღამ არ ცხრება სისხლისმღვრელი ბრძოლები. წითელი არმიის მეომრები უმაგალითო სიმამაცით უწევენ წინააღმდეგობას ჰიტლერის ურდოებს, რომელთაც მთელ რიგ უბნებზე ჭარბი ძალები მოეპოვებათ და რომლებმაც დიდძალი ტანკი დასძრეს მოსკოვის წინააღმდეგ. გერმანელებს მოსკოვთან დიდი ზარალი მოსდით ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მხრივ, მაგრამ კაციჭამია ჰიტლერი არაფერს არ უწევს ანგარიშს და ათიათასობით გერმანელი ჯარისკაცის სისხლის ფასად მოსკოვისაკენ ერეკება თავის მძარცველთა არმიას. ზოგიერთ უბანზე გაცოფებულმა ჰიტლერელმა მხეცებმა მოახერხეს ჩვენი ნაწილების შევიწროვება. გერმანელი ოკუპანტები, რომელთა წინაშე მაგრად ჩაკეტილია მოსკოვის კარი, ცდილობენ შემოუარონ მას. მოსკოვის დამცველთა— მისი ყველა დამცველის — წითელი არმიის ნაწილების, დედაქალაქისა და მის გარშემო მდებარე ყველა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ამოცანაა მცირეოდენი ჭუჭრუტანაც კი არ დაუტოვონ მტერს, მუდამ მზად იყონ ბრძოლისათვის, რათა ჟლიტონ ფაშისტები, სადაც უნდა გამოჩნდნენ ისინი.

წითელი არმიის მეომრებო—მოსკოვის დამცველნო! გაბედული, მტკიცე კონტრიერიშებით მოქანცეთ მტერი, გამოფიტეთ მისი ძალები! ჰიტლერის სარდლობამ 49 დივიზია მორეკა მოსკოვთან. აქ ჰპოვებენ ისინი თავის სამარეს. მოსკოვთან უნდა დავამარცხოთ მტერი. მოსკოვის მისადგომებთან დასამარებულ იქნებიან ჰიტლერელი ყაჩაღები!

ჩვენმა ჯარებმა კიდევ უფრო მედგრად, კიდევ უფრო შეუპოვრად უნდა იბრძოლონ ყოველი ქალაქისათვის, ყოველი სოფლისათვის, დასახლებული პუნქტისათვის, რკინიგზის სადგურისთვის, გზატკეცილისთვის, ყოველი მტკაველი მშობლიური მიწისთვის. ფრონტისპირა რაიონებში ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მთელი მუშაობა ახლა უნდა ექვემდებარებოდეს მხოლოდ ერთ საქმეს — თავდაცვას, წითელი არმიისათვის დახმარების გაწევას. სახალხო ლაშქრის რაზმების, მუშათა ბატალიონების, გამანადგურებელ ქვეგანაყოფთა ჩამოყალიბება, მტრის ტანკების, მოტოციკლისტების, მეავტომატეებისა და პარაშუტისტების წინააღმდეგ ქუჩაში ბრძოლის მეთოდების შესწავლა, მებრძოლ ჯარების ზურგში უსასტიკესი რევოლუციური წესრიგის დაცვა — აი რით უნდა გამოიხატებოდეს ამჟამად ფრონტისპირა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მთელი საქმიანობა. მხედრულად გაწვრთნილ ადამიანთა საბრძოლო რეზერვები უნდა მოვამზადოთ მთელს ფრონტისპირა ზოლში. აქ საყოველთაო სამხედრო სწავლება უნდა სწარმოებდეს განსაკუთრებული ენერგიითა და გულმოდგინეობით. უნდა ვამზადოთ რაც შეიძლება მეტი გამანადგურებელი ტანკებისა, რაც შეიძლება მეტი გრანატმტყორცნელი, მოვამზადოთ მეომრები ქუჩაში ბრძოლისათვის, რათა შეგვეძლოს ყოველი ქუჩის, ყოველი შესახვევის, ყოველი სახლის დაცვა.

ფრონტისპირა ქალაქში, რაიონში, სოფელში მზად უნდა ვიყოთ მტრის უეცარი იერიშისათვის. მტერი მუდამ ცდილობს შემოძვრეს, სოლივით შემოიჭრას იქ, სადაც თავდაცვა უფრო სუსტია. ამიტომ ყოველი დასახლებული პუნქტი, არა სიტყვით, არამედ საქმით უნდა გადავაქციოთ თავდაცვის ციხე-სიმაგრედ, წინააღმდეგობის კვანძად, შევაჩეროთ მტერი, მოვქანცოთ იგი, მოვსპოთ, ავაფეთქოთ, ცეცხლი წავუკიდოთ მის ტანკებს და გავჟლიტოთ მისი ცოცხალი ძალა. მხოლოდ იქ, სადაც ადამიანები უზრუნველნი არიან, უდარდელობას მოჰყვება პანიკა—მტრის მოკავშირე. ფრონტისპირა ადგილებში საჭიროა უდიდესი სიფხიზლე, სიფხიზლე დღედაღამ, განსაკუთრებით ღამით, რათა მოუმზადებელს არ მოგვისწროს მტერმა.

ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში ღამით შემოიპარა სამოქალაქო ტანისამოსით გამოწყობილი მტრის მეავტომატეთა ჯგუფი. ისინი ავიდნენ შენობების სხვენებზე და ასტეხეს სროლა. მტერმა, რომელსაც აქ დროულად არ გაუწიეს წინააღმდეგობა, დაიკავა დასახლებული პუნქტი. საჭიროა მუდამ ფხიზლად ვიყოთ, გვახსოვდეს მტრის ცბიერება, არ დავიბნეთ ფაშისტ მზვერავთა, მეავტომატეთა, დივერსანტთა მოულოდნელად გამოჩენისას, ულმობელად გავჟლიტოთ ისინი.

მტერი ჯერ კიდევ სარგებლობს თავისი უპირატესობით ტანკების მხრივ და წინ მოძვრება. ჩვენს ქარხნებში ტანკებისა და ტანკსაწინააღმდეგო იარაღის წარმოების გადიდებასთან ერთად, მტრის ტანკებთან ბრძოლის სერიოზულ საშუალებას წარმოადგენს სხვადასხვა ტანკსაწინააღმდეგო დაბრკოლების შექმნა. ამხანაგმა სტალინმა 6 ნოემბრის მოხსენებაში მიგვითითა, რომ საჭიროა „ვაშენოთ რაც შეიძლება მეტი ტანკსაწინააღმდეგო ორმოები და ყოველგვარი სხვა ტანკსაწინააღმდეგო დაბრკოლებანი". ისინი უნდა ვაშენოთ უაღრესად სწრაფი სამხედრო ტემპებით. ქალაქები, რომლებსაც უშუალო საფრთხე ემუქრებათ, გარშემორტყმულ უნდა იქნან თავდაცვითი რკალით. ასეთ რკალში ყველა რგოლი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საცეცხლე საშუალებებით, უნდა იყოს მტკიცე, შეუვალი. საითკენაც უნდა გამოიჭრას მტერი, მას ყველგან სიკვდილი უნდა მოელოდეს.

კიდევ უფრო გავაძლიეროთ წინააღმდეგობა გერმანელ დამპყრობლებისადმი! უფრო განვამტკიცოთ დასახლებული პუნქტების დაცვა! წარმატებითი კონტრიერიშებით მოსვენება არ მივცეთ მტერს, გამოვფიტოთ იგი, დავაუძლუროთ, მოვსპოთ მისი ტანკები და ცოცხალი ძალა! სადაც უნდა გამოჩნდნენ გერმანელი დამპყრობლები, ისინი უნდა ვჟლიტოთ ყოველი სახის საბჭოთა იარაღით.

მტერი ხელჰყოფს მოსკოვს. იგი ვერასოდეს ვერ იხილავს მას, აქ დამარცხდება იგი! მტერი მოისწრაფის ჩვენი ნავთისაკენ. იგი ვერასოდეს ვერ მიიღებს მას!

მტერი სთესავს ნგრევასა და სიკვდილს. მას სისხლს სისხლით ვაზღვევინებთ და სიკვდილს სიკვდილით!

„პრავდის" მოწინავე, 30/XI.

როგორ აიღეთ როსტოვი

სამხრეთის ფრონტი, 29 ნოემბერი

(ტელეფონით)

გენერლების ხარიტონოვისა და რემიზოვის ნაწილებმა მედგარი, სასტიკი ბრძოლების შემდეგ დაიკავეს ქალაქი როსტოვი. მტერი ჰყრის იარაღსა და საჭურველს და, ჩვენი ჯარების იერიშების ზეგავლენით, იხევს დასავლეთისაკენ. სამ დღეს გრძელდებოდა ბრძოლა ქალაქისათვის. ჩრდილოეთიდან გერმანელებმა წინააღმდეგობის მძლავრი კვანძები შექმნეს. ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ზღუდეებზე მათ თავი მოუყარეს ტანკებს, არტილერიას, ააგეს ხანგრძლივი საცეცხლე წერტების სისტემა. ჩვენმა ქვეითებმა, არტილერისტებმა, კავალერისტებმა და მფრინავებმა გასტეხეს მტრის გამაგრებული წინააღმდეგობა. მტერი განსაკუთრებით ძლიერ იყო გამაგრებული დაბა ბ-ში. ამხ. გონჩაროვის ნაწილმა ამ დაბას ჩრდილოეთიდან შემოუარა, გარშემოარტყა მტერს და უეცარი იერიშით მოსპო იგი. ქვეითებს დიდი დახმარება გაუწია ავიაციამ. მარტო დაბა ბ-ს რაიონში მან მოსპო ფაშისტთა 20 ტანკი და ათობით ავტომანქანა.

საუცხოოდ მოქმედებდნენ ამხ. კირიჩენკოს ნაწილის კავალერისტები. მათ გაბედული რეიდი მოახდინეს მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე და ქალაქში შეიჭრნენ. ჩვენ მიერ ჩრდილოეთიდან მიტანილმა იერიშებმა ამხ. რემიზოვის ნაწილებს საშუალება მისცეს თავს დასხმოდნენ მტერს სამხრეთიდან.

მდინარეთა თხელი ყინული ჩვენს ნაწილებს შესაძლებლობას არ აძლევდა ტანკები და ქვემეხები გადაეტანათ, ისინი იძულებული ხდებოდნენ ჭალაკებზე, ხრიოკი, გაშლილი ველით ევლოთ. მაგრამ ქვეითმა ჯარმა და კავალერიამ გმირულად დასძლიეს დაბრკოლებანი და მძაფრი იერიშით შეიჭრნენ როსტოვის სამხრეთ გარეუბნებში. ქუჩებში დაიწყო მძიმე ბრძოლა. საჭირო ხდებოდა ყოველი ქუჩის, ყოველი სახლის ბრძოლით აღება. თითქმის ორ დღე-ღამეს გრძელდებოდა ბრძოლა ქალაქის ქუჩებში.

ახლა მტერი განდევნილია ქალაქიდან. როსტოვი კვლავ საბჭოთა ქალაქი გახდა. მოსახლეობა უდიდესი სიხარულით შეხვდა სახელოვან მებრძოლებს, რომლებმაც ფაშისტი არამზადები განდევნეს.

ჩვენი ჯარის ნაწილები კვლავ მიერეკებიან უკანდახეულ მტერს და საშუალებას არ აძლევენ ახალ ზღუდეებზე გამაგრდეს. წითელი არმიის შემტევი ნაწილების მოძრაობის გზებზე ათასობით ფაშისტი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამები ჰყრია. გერმანელები სტოვებენ ტანკებს, ავტომანქანებს, ქვემეხებს, შაშხანებს, საომარ მასალას.

მტრის დევნა გრძელდება.

„პრავდის" კოლექტიური კორესპონდენტი — გაზეთი „ვო სლავუ როდინი".

* * *

სამხრეთის ფრონტი, 29 ნოემბერი

(ტელეფონით)

მეთაურ ხარიტონოვის ნაწილები და კავალერისტები კვლავ მიერეკებიან მტერს, რომელიც უწესრიგოდ იხევს უკან. ფაშისტთა ტანკები, არტილერია, ტრაქტორები, მანქანები გარბიან გზებით და უგზოდ ჩალტირის მიმართულებით. მეორე ავტოკოლონა თავზარდაცემული იხევს სამბეკისაკენ. გერმანელთა მიერ მარიუპოლიდან დასახმარებლად დაძრული ავტოკოლონა ტანკებითურთ მდინარე მიუსის ზღუდეზე დაბანაკდა და შეაჩერა თავისი მოძრაობა. თვითონ კლეისტი ტაგანროგიდან მარიუპოლს გაიქცა.

ჩვენი ჯარის ნაწილები, განსაკუთრებით კი კავალერია, შეტევის ტემპის შეუნელებლად სდევნიან უკანდახეულ ფაშისტებს. ამრიგად, როსტოვის მოკლე ხნით დაპყრობა ძვირად დაუჯდებათ ფაშისტებს, რომლებმაც ქალაქის მისადგომებზე და ქუჩებში გაჩაღებული ბრძოლის დროს მოკლულთა სახით 5 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს. გერმანელებს ვერ უშველეს ხშირმა კონტრიერიშებმაც, რომლებიც მათ მოჰქონდათ ფრონტის ცალკეულ უბნებზე.

წარმატებით ვითარდება ოპერაციები ფრონტის სხვა უბნებზედაც. კოროტეევის ნაწილები, გერმანელთა უაღრესად ძლიერი საარტილერიო ცეცხლის მიუხედავად, განაგრძობდნენ გაბედულ იერიშებს მთელ რიგ ზღუდეებზე. ამხ. ვერშინინის მფრინავებმა ისარგებლეს ამინდის გაუმჯობესებით, იერიში მიიტანეს მტრის ჯარებზე და თავს დაესხნენ მის აეროდრომებს. გუშინ ჩამოგდებულია მტრის 3 თვითმფრინავი, მოსპობილია 200-ზე მეტი ავტომანქანა ქვეითი ჯარითა და ტვირთითურთ.

ხარიტონოვისა და რემიზოვის ნაწილებმა დიდძალი დავლა იგდეს ხელთ. მისი დათვლა მხოლოდ დაწყებულია. ერთგვარ წარმოდგენას ნადავლის მცირე ნაწილის შესახებ შემდეგი ციფრები იძლევიან: ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს 1.660 შაშხანა, 110 ტყვიამფრქვევი, 36 ნაღმსატყორცნი, 19 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 52 საველე და საზენიტო ქვემეხი, 10.000-ზე მეტი ყუმბარა, 150.000-მდე შაშხანის ვაზნა და სხვ.

წარმატებითი შეტევა სამხრეთის ფრონტის ჯარებს აღაფრთოვანებს შემდგომი წინსვლისათვის და ფაშისტთა საბოლოო მოსპობისათვის.

ტ. ლილინი

უკანასკნელი ცნობები

ჩვენი სამხრეთის არმიების ნადავლი

გერმანიის ჯარის გენერალ კლაისტის ჯგუფის განადგურების შედეგად ჩვენმა ჯარებმა, რომლებმაც როსტოვი გაათავისუფლეს და შეტევას განაგრძობენ როსტოვის დასავლეთით, ხელთ იგდეს შემდეგი ნადავლი: 118 ტანკი, 210 ქვემეხი, 306 ტყვიამფრქვევი, 178 ნაღმსატყორცნი, 4.050 შაშხანა, 871 ავტომანქანა და დიდძალი სხვა საჭურველი და სამხედრო ქონება.

ეს ცნობები არასრული და წინასწარია, ვინაიდან ჯერჯერობით, ცხარე შეტევის დროს, შეუძლებელია მთელი ნადავლის რაოდენობის გამორკვევა.

ყველაზე მეტი ნადავლი წილად ჰხვდა ჩვენს 37-ე არმიას გენერალ-მაიორ ამხ. **ლოპატინის** მეთაურობით, რომელმაც თავისი უნარიანი მოქმედებით გადასწყვიტა გენერალ კლაისტის ჯარების ბედი.

როსტოვის რაიონში 7 დღის ოპერაციების დროს ჩვენმა თვითმფრინავებმა და საზენიტო ქვემეხებმა მტრის 102 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

30 ნოემბრის დილის ცნობა

29 ნოემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან ყველა ფრონტზე. რამდენიმე დღის წინათ, გაფთრებული ბრძოლების შემდეგ, ჩვენმა ჯარებმა დასტოვეს ქალაქი ტიხვინი.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენი ჯარის ნაწილებმა მტრის წინააღმდეგ ერთი დღის ბრძოლაში მოსპეს გერმანელთა 15 ტანკი, 10 ჯავშნიანი მანქანა, 50 ავტომანქანა საომარი მასალითურთ, 15 ტყვიამფრქვევი, 3 ნაღმსატყორცნი ბატარეა და 11 ქვემეხი. ფრონტის მეორე უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს გერმანელთა 21 საბარგული და დახოცეს მტრის ბატალიონი ქვეითი ჯარი.

ამხ. ლიულიშენკოს მებრძოლებმა დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მტერთან ბრძოლაში მოსპეს გერმანელთა 15 ტანკი, 6 ქვემეხი, 12 დაზგის ტყვიამფრქვევი და დახოცეს მტრის 1.600-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

წითელარმიელმა ამხ. ბადოსოვმა, რომელიც ქვემეხთან მარტო დარჩა, მარჯვე სროლით მოსპო გერმანელთა 2 ტანკი.

* * *

ფაშისტთა ურდოებისადმი წითელი არმიის მედგარი წინააღმდეგობისა და აღმოსავლეთის ფრონტზე ჰიტლერელთა უდიდესი დანაკლისის შედეგად, გერმანელთა ჯარების ფიზიკური და მორალური მდგომარეობა სწრაფად ეცემა. ჯარისკაცთა გასამხნევებლად გერმანელთა სარდლობა იძულებულია ყოველი დიდი ოპერაციის წინ აღუთქვას ჯარისკაცებს, შინ გაგიშვებთ, თუ თქვენს წინაშე დასმულ ამოცანას შეასრულებთო. ტყვეები მოგვითხრობენ, რომ მე-10 სატანკო დივიზიის ჯარისკაცებს გამოუცხადეს — თუ დასახლებულ პუნქტ ნ-ს აიღებთ, შინ გაგიშვებთო. დაპირება, რა თქმა უნდა, არ შეუსრულებიათ. ნაროფომინსკთან ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 258-ე ქვეითი დივიზიის ჯარისკაცმა კონრად ფიტცმა განაცხადა: „ჯარისკაცებს არა სურთ იომონ. ყველა იმედოვნებს, რომ ომი მალე გათავდება და ისინი შინ დაბრუნდებიან. ჯარისკაცები ფიქრობენ, რომ თუ ომი თუნდაც ცოტა ხანს გაჭიანურდა, ისინი ყველანი დაიღუპებიან რუსების დარტყმისაგან, სიცივისა, ცუდი კვებისა და ავადმყოფობისაგან". გერმანელთა მე-17 ქვეითი დივიზიის ეფრეიტორი პ. გომა თავისიანებისადმი მიმართულ წერილში, რომელიც არ გაუგზავნია, სწერს: „ჩვენ შევსება მოგვივიდა, მაგრამ იგი ნაკლებად ბრძოლისუნარიანია, იარაღის ხმარება არ იცის. ყველაზე უფრო ის მიკლავს გულს, რომ გამოცდილ და საუკეთესო ოფიცერთა თითქმის მთელი შემადგენლობა გამოყვანილია მწყობრიდან და უუნარო მეთაურებით არის შეცვლილი. ჩვენგან — ძალების არაადამიანურ დაძაბვას მოითხოვენ, მაგრამ ამისათვის ძალიან მცირე მადლობას გვეუბნებიან... ერთადერთი ხსნაა მხოლოდ სიკვდილი. აღარ მსურდა თქვენი შეწუხება და დღემდე ვდუმდი, მაგრამ ახლა გწერთ, რომ რუსეთში თვითეულ დღეს ჩვენთვის ახალი წამება მოაქვს. ჩვენ მეტს ვეღარ მოვითმენთ".

* * *

გერმანელთა ჯარის ნაწილს, რომელიც დაბანაკებული იყო საფრანგეთის ქალაქ ლილში, გერმანიის სარდლობამ უბრძანა სწრაფად გამგზავრებულიყო აღმოსავლეთის ფრონტზე. ჯარისკაცებმა რომ ეს შეიტყვეს, უარი სთქვეს ყაზარმების დატოვებაზე. მოსულმა ფაშისტურმა დამსჯელმა რაზმმა დახვრიტა 29 ჯარისკაცი, ხოლო 300 ჯარისკაცი საპატიმროში დაამწყვდიეს.

* * *

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელნი ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ამარაგებენ და ამგვარად აქტიურად ეხმარებიან წითელ არმიას ფაშისტი ოკუპანტების განადგურებაში. კრასნოიარსკის მხარის მინუსინსკის, მანსკის, ერმაკოვსკოეს, აჩინსკისა და მთელი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა, როცა პურის ჩაბარების გეგმა შეასრულეს და მანქანა-ტრაქტორთა სადგურს ჩააბარეს სამუშაოს ნატურსაზღაური, სახელმწიფოს მილიონამდე ფუთი პური მიჰყიდეს. ნოვოსიბირსკის ოლქის ნოვოსიბირსკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელმა „კრასნი პარტიზანმა" სახელმწიფოს მიჰყიდა 9.000 ფუთი მარცვლეული. სამხრეთ-ყაზახეთის ოლქში ლენგერის რაიონის კოლმეურნეობებმა „ნოვი სტროიმ" და „ვოლნაია სტეპმა" სახელმწიფოს მიჰყიდეს 6.000 ფუთი მარცვლეული თვითეულმა, ჯუვალინის რაიონის კოლმეურნეობამ „კომსომოლსკაია პრავდამ" მიჰყიდა 12.000 ფუთი. ნოემბრის დასაწყისისათვის კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისაგან შესყიდული იყო ნახევარ მილიონამდე ფუთი პური.

30 ნოემბრის საღამოს ცნობა

30 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან ყველა ფრონტზე.

29 ნოემბერს მოსპობილია გერმანელთა 20 თვითმფრინავი. ჩვენ 8 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

29 ნოემბერს ჩვენმა ავიაციამ მოსპო გერმანელთა 83 ტანკი, 15 ჯავშნიანი მანქანა, 650-ზე მეტი ავტომანქანა ჯარითურთ, 12 საველე ქვემეხი, 190 საზიდარი ყუმბარები, 5 ავტოცისტერნი საწვავი, ააფეთქა რკინიგზის მატარებელი საომარი მასალითურთ, დახოცა და გაჰფანტა მტრის ორზე მეტი პოლკი ქვეითი ჯარი.

* * *

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენი ჯარის ნაწილებმა გაანადგურეს გერმანელთა 297-ე ქვეითი დივიზია.

მარტო უკანასკნელი 2 დღის ბრძოლაში გაჟლეტილ იქნა 4 ათასამდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამ ოპერაციაში მონაწილე ერთმა ჩვენმა ნაწილმა მოსპო გერმანელთა 13 ქვემეხი, 2 ნაღმსატყორცნი ბატარეა, 20 საზიდარი საომარი მასალა და ხელთ იგდო 5 ქვემეხი, 6 ნაღმსატყორცნი, 6 დაზგის ტყვიამფრქვევი და ბევრი სხვა დავლა.

* * *

ამხ. კომაროვის ნაწილის მფრინავებმა 10 დღის განმავლობაში მოსპეს გერმანელთა 73 ტანკი, 360 ავტომანქანა, 30-ზე მეტი ქვემეხი, 8 საზენიტო წერტი და დახოცეს მტრის ორ პოლკამდე ქვეითი ჯარი.

* * *

უმცროსმა სერჟანტმა ამხანაგმა მიხეევმა ერთ-ერთ უკანასკნელ ბრძოლაში მოსპო 11 ფაშისტი.

* * *

პარტიზანული რაზმები გერმანელ დამპყრობთ თბილი ბინებიდან ზამთრის ყინვაში მიერეკებიან.

სოფელ ნ-ს მცხოვრებლებმა თავიანთ სახლებს ცეცხლი წაუკიდეს და საბჭოთა ჯარებთან ერთად წავიდნენ. მაგრამ ფაშისტებმა შესძლეს ცეცხლისაგან გადაერჩინათ სოფლის ერთი ნაწილი. ქოხებში ღამის გასათევად გერმანელი მეავტომატენი მოთავსდნენ. ამხ. ა-ს რაზმის პარტიზანები განთიადზე შეუმჩნევლად მიადგნენ სოფელს, მოსპეს გუშაგები და საწვავსათხიანი ბოთლები დაუშინეს სახლებს. ქუჩაში გამოვარდნილი გერმანელი მეავტომატენი პარტიზანებმა მარჯვე სროლით მოსპეს. ამხ. პ-ს რაზმი მარჯვედ დაესხა თავს დაბას, სადაც ფაშისტებს ჯარისკაცთა ხელჯაგების შესაკერი სახელოსნო ჰქონდათ მოწყობილი. პარტიზანებმა გაჟლიტეს გერმანელთა გარნიზონი, რომელიც 30 ჰიტლერელისაგან შესდგებოდა, დასწვეს საწყობები, სადაც მოსახლეობისათვის წართმეული თბილი ნივთები და მზა პროდუქცია ინახებოდა, აგრეთვე სახელოსნო. ამხანაგ ტ-ს პარტიზანული რაზმი ერთ-ერთ გზაში ჩასაფრდა. მალე გერმანელთა ცხენებიანი ალალი გამოჩნდა. პარტიზანებმა შაშხანების სროლითა და გრანატების ტყორცნით უკუაქციეს ალალის მცველი რაზმი. თექის ჩექმების ნაწილი, თბილი თეთრეული და ქუდები, რაც ალალში აღმოჩნდა, პარტიზანებმა თან წაიღეს. დანარჩენი მოსპეს.

* * *

მოსკოვთან ტყვედ წამოყვანილ გერმანელ ჯარისკაცთა ჩვენება მოწმობს ფაშისტთა არმიის საბრძოლო სულისკვეთების შემდგომ დაცემას. გერმანელთა 78-ე ქვეითი დივიზიის 215-ე პოლკის მე-3 ბატალიონის შტაბის ცხენოსანმა შიკრიკმა მარტინ კეველმა განაცხადა: „ამ უკანასკნელ ხანს ჯარისკაცთა განწყობილება საგრძნობლად დაეცა. მოსკოვზე ლაშქრობის წარმატება მათ უკვე არა სწამთ. სიცივეები, ცუდი კვება და ავადმყოფობა აძლიერებენ უკმაყოფილებას ომით, რომელიც საჭირო არ არის. უკანასკნელი 5-6 დღის განმავლობაში ჩვენ პური სულაც არ მიგვიღია. დაიწყო კუჭის ავადმყოფობა. უკანასკნელ დღეებში ავად გახდა ბატალიონის შტაბის შემადგენლობის ერთი მესამედი".

გერმანელთა მე-8 ქვეითი დივიზიის მე-8 ქვეითი პოლკის მე-5 ასეულის ობერ-ეფრეიტორმა ჰერჰარდტ ფინკჰაიზერმა აჩვენა: „ჩვენმა მეხუთე ასეულმა 120 კაცი დაკარგა. მეორე ბატალიონში, რომელშიც ჩვენი ასეული შედის, 750 კაციდან 100 კაცზე ცოტათი მეტია დარჩენილი". გერმანელთა 87-ე ქვეითი დივიზიის 187-ე ქვეითი პოლკის მე-2 ბატალიონის ჯარისკაცმა ფრიც ჰელბატმა განაცხადა: „ჩვენს ბატალიონში ბევრი დაავადდა გრიპით, აგრეთვე ბევრია დამზრალი. პირადად მე 10-ზე მეტი დამზრალი ჯარისკაცი ვნახე. არცერთ ჩვენგანს დიდი ხანია არ გვიბანია და თეთრეული არ გამოგვიცვლია. საშინელი ტილიანობა მძვინვარებს, გაჩნდა პარტახტიანი ტიფით დაავადება".

* * *

გერმანიის საინფორმაციო ბიურომ 28 ნოემბერს გამოაქვეყნა ცნობა, რომ თითქოს „27 ნოემბერს გერმანიის ბომბდამშენებმა გამანადგურებელი თავდასხმა მოახდინეს უდიდეს აეროდრომზე საბჭოთა დედაქალაქის რაიონში", რის შედეგადაც ვითომ „ცეცხლი გაუჩნდა ანგარებსა და სახიზნარებს" და მოსპობილ იქნა „საბჭოთა მანქანები".

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ არც 27 ნოემბერს, არც შემდგომ დღეებში გერმანელ ფაშისტთა ავიაცია საბჭოთა აეროდრომებზე არ გამოჩენილა და ამიტომ ცეცხლი არ გაუჩენია და არც შეეძლო „ცეცხლი გაეჩინა სახიზნარებისათვის" და მოესპო „საბჭოთა მანქანები" როგორც „საბჭოთა დედაქალაქის" რაიონში, ისე ფრონტის სხვა უბნებზედაც.

ამრიგად, გერმანიის საინფორმაციო ბიუროს 28 ნოემბრის ცნობა სიცრუეა.

1 დეკემბრის დილის ცნობა

30 ნოემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ ყველა ფრონტზე.

* * *

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე 7 დღის ბრძოლებში ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს გერმანელთა 15 ტანკი, 10 ჯავშნიანი მანქანა, 50 ავტომანქანა, 11 ქვემეხი, 15 ტყვიამფრქვევი, 3 ნაღმსატყორცნი ბატარეა და გაჟლიტეს 1.500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ლეიტენანტ ამხ. ივანოვის საბჭოთა თვითმფრინავების ჯგუფმა უეცრად მიიტანა იერიში მტრის თავმოყრილ ძალებზე სოფელ დ-ში და მოსპო გერმანელთა 10 ტანკი, 15 ტანკეტი, 75 ავტომანქანა, 4 ქვემეხი, 5 სატყვიამფრქვევო-საზენიტო დანადგარი და მოწინააღმდეგის შტაბის მანქანა.

* * *

საბჭოთა სამხედრო ტყვეების ნარევის ბანაკში ფაშისტთა სარდლობამ აუტანელი პირობები შექმნა. წითელარმიელები ჰერხივით ჰყრიან შიშველ მიწაზე, ცისქვეშ და ისე სძინავთ. „სს" რაზმების მცველებმა ტყვეებს წაართვეს ფარაჯები, სათბურები, თექის ჩექმები და თეთრეული და ამის ნაცვლად დაურიგეს ძველი, უვარგისი საზაფხულო ტანისამოსი გერმანელი ჯარისკაცებისა. დღე-ღამეში სამხედრო ტყვეებს 14 საათის განმავლობაში ასრულებინებენ მომქანცველ მიწის სამუშაოს. მტარვალები 5-10 წითელარმიელს მარხილებში აბამენ და რკინიგზის რელსებს აზიდვინებენ. გამორკვეულია ფაქტები, როდესაც გერმანული ფორმით გამოწყობილ სამხედრო ტყვეებს ფრონტის მოწინავე ხაზზე გზავნიან სიმაგრეთა ასაგებად და საომარი მასალის მისაზიდავად. მცველები მოქანცულ და დაჭრილ წითელარმიელებს სცემენ. ყოველივე ეს მასობრივ დაავადებას იწვევს. ბანაკებში შიმშილითა და ავადმყოფობით ბევრი სამხედრო ტყვე იხოცება.

* * *

თურქმენეთის მშრომელები თავდადებული მუშაობით განამტკიცებენ საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობას. რესპუბლიკის ბევრმა საწარმომ 1941 წლის საწარმოო გეგმები უკვე შეასრულა. 18 ნოემბერს წლიური პროგრამა შეასრულა ბაირამალის ბამბის ქარხანამ, რომელმაც ჩვენს ქვეყანას მხოლოდმხოლოდ უმაღლესი და პირველი ხარისხის პროდუქცია მისცა. ვადაზე 49 დღით ადრე შეასრულა წლიური გეგმა აშხაბადის აბრეშუმის ძაფსახვევმა ფაბრიკამ. ამ ფაბრიკის კოლექტივმა მნიშვნელოვნად შეამცირა ნედლეულის ხარჯი და სახელმწიფოს დაუზოგა 670 ათასი მანეთი. წლიური პროგრამა უკვე შეასრულეს აშხაბადის ბამბის ქარხანამ და ჩარჯუის აბრეშუმის ძაფსახვევმა და ბამბის ფაბრიკებმა. დიდი სისწრაფით დაჰყავთ მატარებლები აშხაბადის რკინიგზის მემანქანეებს. თურქმენეთის რკინიგზელთა შორის სტალინური ვახტის ინიციატორებმა მემანქანეებმა ამხ. კლიმოვმა და კოვალევიჩმა ერთ გზობაზე დაზოგეს 1.682 კილოგრამი ნავთი. მეორთქლმავლეთა ბრიგადებს არ ჩამორჩებიან დეპოს დამხმარე სამქროების სტახანოველები. ხარატები ამხ. ივანოვი და ბოიარსკი ნორმას ყოველდღიურად 350-360 პროცენტით ასრულებენ.

1 დეკემბრის საღამოს ცნობა

1 დეკემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან ყველა ფრონტზე. დასავლეთის ფრონტზე მოგერიებულია მტრის რამდენიმე გაფთრებული იერიში, რომლის დროსაც მას დიდი ზარალი მოუვიდა. ფრონტის როსტოვის უბანზე საბჭოთა ჯარები კვლავ კვალდაკვალ მისდევენ გერმანიის ჯარს. ხელთ ვიგდეთ ახალი ნადავლი.

30 ნოემბრის განმავლობაში მოსპობილია გერმანელთა 59 თვითმფრინავი. ჩვენ 17 თვითმფრინავი დავკარგეთ.

1 დეკემბრის განმავლობაში მოსკოვთან საზენიტო არტილერიამ გერმანელთა 4 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

* * *

30 ნოემბრის განმავლობაში ჩვენმა ავიაციამ მოსპო და მწყობრიდან გამოიყვანა გერმანელთა 215 ტანკი, 6 ჯავშნიანი მანქანა, 1.400 ავტომანქანა ჯარითა და ტვირთითურთ, 34 საველე ქვემეხი და 20 ნაღმსატყორცნი, სამხედრო საჭურველით დატვირთული 400 საზიდარი, 5 ავტოცისტერნი საწვავი, საწვავი მასალის დიდი საწყობი, მოსპო და გაჰფანტა 3 პოლკზე მეტი მტრის ქვეითი ჯარი.

* * *

ამხ. ბერეზინის ნაწილმა, რომელიც დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებს, მტერთან გაათრებულ ბრძოლაში მოსპო 2 ტანკი, 18 ჯავშნიანი მანქანა, 90 ავტომანქანა სამხედრო ტვირთითურთ, 3 ნაღმსატყორცნი ბატარეა, რამდენიმე ქვემეხი და 2 დიდი ალალი საომარი მასალა. ბრძოლის ველზე გერმანელებმა 1.500 მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი დასტოვეს.

* * *

ამხ. ლარიჩევის ნაწილის მებრძოლებმა, რომელიც ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებს, 8 დღის ბრძოლის დროს გერმანელებს 15 დასახლებული პუნქტი წაართვეს და ხელთ იგდეს 3 ვარგისი ტანკი, 16 ნაღმსატყორცნი, 400 შაშხანა და დიდძალი სხვა ნადავლი.

* * *

უფროს ლეიტენანტ ერემენკოს კავალერისტებმა გაბედული თავდასხმით მტერს წაართვეს 130 სატვირთო და 30 მსუბუქი მანქანა და 70 მოტოციკლი.

* * *

ტულის ოლქის პარტიზანები წარმატებით სპობენ გერმანელ ჯარისკაცებს, ფაშისტური არმიის საჭურველსა და ტრანსპორტს. ამხ. ჩ-ს პარტიზანულმა რაზმმა ერთ სოფელში ორი გადარჩენილი სახლი დანაღმა. როდესაც გერმანელებმა ეს სოფელი დაიკავეს და ღამით იქ დასაძინებლად მოთავსდნენ, სახლები აფეთქდა. მოსპობილია 17 ჰიტლერელი. 19 ნოემბერს ღამით გაერთიანებული პარტიზანული რაზმები თავს დაესხნენ გერმანელთა კოლონას. ფაშისტები დასასვენებლად განლაგდნენ და ფარაჯები დასტოვეს სატვირთო მანქანებთან. პარტიზანებმა უხმაუროდ მოსპეს დარაჯები, მარხილებზე გადატვირთეს 12 დაზგის ტყვიამფრქვევი, 85 შაშხანა, 20 ავტომატი, რევოლვერებით სავსე ყუთი და დიდძალი საომარი მასალა. შემდეგ მანქანებს ბენზინი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. გერმანელი ჯარისკაცები, რომლებიც კარვებიდან და მიწურებიდან გარეთ გამოცვივდნენ, პარტიზანებმა ტყვიამფრქვევებით და ხიშტებით დახოცეს. სულ ამ ოპერაციის დროს მოსპობილია 120-მდე ფაშისტი დამპყრობელი.

* * *

გერმანელ ჯარისკაცთა მიერ აღმოსავლეთის ფრონტიდან თავიანთი ნათესავებისათვის გაგზავნილი წერილების შინაარსი სულ უფროდაუფრო ნაღვლიანია. ეფრეიტორი ვილი გრატე თავის ნათესავებს სწერს: „ბევრი ახალგაზრდა ამხანაგი წუთისოფელს გამოესალმა... აქაურობა გაუკაცრიე-

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

კომუნისტი

სამშაბათი, 2 დეკემბერი, 1941 წ. № 285 (6290)

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

(დასასრული)

ლებული და გაპარტახებულია. ჩვენ ჯერ კიდევ მძიმე ბრძოლა მოგველის, რის შედეგადაც სამშობლოში ცოტა დაბრუნდება, თუ საერთოდ ვინმე დაბრუნდა“.

გეორგ ბიშოფი თავის ყოფილ თანამოსამსახურეს, ეფრეიტორ ლიუდვიგ კლუმპეს სწერს: „... მძიმე და გააფთრებული ბრძოლა იყო. შენ, ალბათ, გინდა იცოდე, თუ ვინ გამოაკლდა ჩვენს შორის. მოკლულია 20 კაცი; მე მათ ყველას ჩამოგითვლი: ჰენკე, ლევე, ვიდაუ, ფრენკი, ქერკელინგი, ლენდლინი, სინიტცი, დრესპე, რუბელი, ბრანდშტეტერი, შეინმანი, ლანსინი, კრიუგერი, ალფრედი, ჰაინცი, პალცი, ფერტი, კვალმანი, ბუკვალდი, ნაფენი. დაჭრილია 60-მდე კაცი. ჩვენგან გადარჩა მხოლოდ პატარა ჯგუფი, რომელმაც შესძლო თავი დაეღწია ჯოჯოხეთისათვის. ვიტიც დაიჭრა. ჰერბერტიც დაჭრილია. ყველას ვერ ჩამოვთვლი“. ცოლისათვის მიწერილ წერილში აუტანელ სიცივეს უჩივის ჯარისკაცი გიუნტერი: „აქ უკვე თოვლია... აუტანელი სიცივეა. ნეტავი თქვენთან ერთად ვიყო შინ და არა ცივ რუსეთში. გამომიგზავნე 2 წყვილი თბილი წინდა და ერთი წყვილი ფეხსახვევი. წერა უნდა შევწყვიტო, თორემ თითები დამაძრა“.

გერმანელი ოფიცერი ჰანსი თავის ცოლს ლოტას სწერს ბერლინში: „... ჩვენი მცირე ჯგუფი კვლავ შემცირდა. მოჰკლეს ლეიტენანტი ბრენეკე, რომელსაც შენ იცნობ, ერთი უნტერ-ოფიცერი და 4 ჯარისკაცი. მე, როგორც იყო, გადავრჩი. აქ უკვე საგრძნობი სიცივეა...“.

• • •

გერმანელი ოკუპანტები საფრანგეთის ოკუპირებული ოლქების გლეხების ძარცვას განაგრძობენ. ამ ცოტა ხნის წინათ ფაშისტებმა ხელმეორედ მოახდინეს მარცვლეულის, სელისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეკვიზიცია. ჩრდილოეთის დეპარტამენტში გერმანელებმა გლეხებს წაართვეს პირველი რეკვიზიციის შემდეგ დარჩენილი ცხენები.

ძარცვამ და ძალადობამ, რასაც გერმანელი ჯალათები მიჰმართავენ, კიდევ უფრო გააძლიერა ფრანგ პატრიოტთა მოძრაობა. ქ. ნოჟან ლე რეტრუს მიდამოებში ამას წინათ რეკვიზირებული პურის 15 საწყობი დაიწვა. უაზშიაც მარცვლეულის ბევრი საწყობი დაიწვა. ბოვეში პატრიოტებმა ცეცხლი წაუკიდეს გერმანელთა საწყობს, სადაც 2 მილიონ ფრანკად ღირებული სელი ინახებოდა.

სამხრეთის ფრონტზე

სამხრეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები კვლავ წარმატებით მიიწევენ წინ და დაუნდობლად სპობენ ფაშისტ დამპყრობლებს და მათს მატერიალურ ნაწილს. დღის განმავლობაში ამხ. რემიზოვის ნაწილებმა მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ და რამდენიმე დიდი დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

დილის 10 საათისათვის ამხ. ხარიტონოვის ნაწილებმა განდევნეს მტერი ბ. და კ. დასახლებული პუნქტებიდან. წარმატებით მიიწევს წინ გონჩაროვის მსროლელი ნაწილი. დღის განმავლობაში ამხ. გონჩაროვის მებრძოლებმა ფაშისტებს რამდენიმე დიდი დასახლებული პუნქტი და მნიშვნელოვანი მაღლობი წაართვეს. სანიმუშოდ მოქმედებენ მაიორ ალექსეენკოს ქვეგანაყოფის მებრძოლები. დღეს დილის 9 საათზე ამხ. ალექსეენკოს ქვეგანაყოფი 10 კილომეტრის სწრაფად გავლის შემდეგ დასახლებულ პუნქტ კ-სთან გამოვიდა. ქვეგანაყოფის მებრძოლები მტრისათვის მოულოდნელად შეიჭრნენ სოფელში. ფაშისტებმა იარაღი და საომარი მასალა მიატოვეს და გაიქცნენ. ბრძოლის პროცესში ამხ. ალექსეენკოს ქვეგანაყოფის მებრძოლებმა ფაშისტებს 25 ტანკი წაართვეს. ქვეგანაყოფმა სოფლიდან განდევნა გერმანელი დამპყრობლები და კიდევ 12 კილომეტრით წაიწიეს წინ.

ჩინებულად მოქმედებენ ამხ. კირიჩენკოს ნაწილის კავალერისტები. ისინი ერთ-ერთი პირველნი შეიჭრნენ როსტოვში, სადაც გაანადგურეს ფაშისტი ჯალათები. მამაცი ცხენოსნები ახლა სწრაფი იერიშით მისდევენ კვალდაკვალ გერმანიის ჯარის ნაწილებს. იქ, სადაც მტერი ცეცხლის საფარებს აწყობს, კავალერისტები ქვეითდებიან და ხიშტის იერიშებით ერეკებიან ფაშისტებს მათი ბუნაგებიდან. დღის განმავლობაში ამხ. კირიჩენკოს კავალერისტებმა 20 კილომეტრით წაიწიეს წინ ბრძოლით და სამი დიდი დასახლებული პუნქტიდან განდევნეს მტერი.

საბჭოთა მფრინავები მოხერხებულად პოულობდნენ ისეთ ადგილებს, სადაც მტრის ავტოტრანსპორტი გროვდებოდა, ისე რომ საძრაობა აღარ იყო. იერიშით და გამანადგურებელი დარტყმით სპობდნენ ისინი ავტომანქანებს სამხედრო ტვირთითა და ქვეითი ჯარითურთ. მინდვრები, სადაც ბრძოლა სწარმოებდა, გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა მრავალი ასეული გვამით არის მოფენილი.

17-დან 29 ნოემბრამდე ამხ. ხარიტონოვისა და ბევრ სხვა უბანზე ხელთ ვიგდეთ დიდი ნადავლი. მტერს განსაკუთრებით დიდი ზარალი მოუვიდა ტანკებისა და ავტომანქანების სახით.

მტერს დიდი ზარალი მიაყენეს ჩვენმა მფრინავებმა. ამ ხნის განმავლობაში მათ ჩამოაგდეს მტრის 82 თვითმფრინავი, მოსპეს 147 ტანკი, 86 ქვემეხი, 23 ნაღმსატყორცნი, 24 საზენიტო დანადგარი, 18 ჯავშნიანი მანქანა, 44 ცისტერნი საწვავი, 475 საზიდარი და 2.634 ავტომანქანა ხალხითა და სამხედრო ტვირთითურთ. უკანასკნელი დღეების ბრძოლის დროს წამოღებული ნადავლის რაოდენობა ზუსტდება.

ფრონტის მეორე უბანზე ჩვენი ჯარის ნაწილები მტერთან შეტევითს ბრძოლას განაგრძობდნენ. მტერი მდინარე ტ-ს მარჯვენა ნაპირზე ძლიერ საფარს სტოვებს და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით იხევს. ფრონტის ამ უბანზე საბრძოლო მოქმედება ღამითაც არ შეწყვეტილა. წუხელ ჩვენი ჯარის ნაწილები წინსვლას განაგრძობდნენ. უკან დახევისას მტერი ცდილობდა კონტრიერიშებზე გადმოსულიყო, მაგრამ ამ კონტრიერიშებს წარმატებით იგერიებდნენ წითელი არმიის ნაწილები.

ჩვენი ჯარის ნაწილები, რომლებიც ბრძოლას ეწევიან დონბასში სოლივით შემოჭრილ მტერთან, დღეს დილით შეტევაზე გადავიდნენ. წითელი არმიის ნაწილების წინსვლა წარმატებით ვითარდება. დღეს, დილის 10 საათისათვის, ამხ. შევერდინის ნაწილმა შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ფაშისტებს მნიშვნელოვანი მაღლობი წაართვა.

„პრავდის“ კოლექტიურ კორესპონდენტი — გაზეთი „ზა სლავუ როდინი“.

(„პრავდა“, 1 დეკემბერი).

„ცისფერი დივიზია“

ჰიტლერი თავის მოკავშირეთა რეზერვების მობილიზაციას ახდენს. მან თავის მოვალე ფრანკოსაც მოსთხოვა ადამიანებით დახმარება. და აი აღმოსავლეთის ფრონტზე, ნოვგოროდის მიდამოების თოვლსა და ჭაობებში გამოგზავნეს „ცისფერი დივიზია“.

ჩვენ წინ დგას ტყვეების ბრბო.

უსაცვლონი, მოწზრეული, დახეული ფეხსაცმლით, თხელი ფარაჯებით (ზოგი კი მთლად უფარაჯოდაც), გერმანული ნიმუშის რუხი ტუჟურკებით, გატილიანებულნი, ნახევრად მოხზრალი ფეხებით — დგანან და შიშისაგან თრთიან.

ხოსე კარიონი იხულმო, „პტო“ დივიზიონის ჯარისკაცი, ჩვიდმეტი წლისაა. როგორც ამბობს, იგი „ომში წავიდა აუცილებლობის გამო, ვინაიდან უმუშევარი იყო“.

ანტონიო მატაგერო, იმავე პოლკის ჯარისკაცი, 18 წლისა, წერა-კითხვის უცოდინარი გლეხი სევილიის მიდამოებიდან, და ლუის არიხა რაბა, უმუშევარი მზიდავი, „დივიზიაში ჩაეწერნენ გამორჩენის მიზნით“.

ხოსე ნიენტო სანტა ოლიეა და მეტიწილი სამხედრო ტყვეები პირდაპირ ბრძანებით გადაიყვანეს „ცისფერ დივიზიაში“ ფრანკოს არმიის სხვა პოლკებიდან.

ხოსე მარია გონსალეს ხიმენესი საპარფიუმერიო მაღაზიის პატრონის შვილია. მისმა ამხანაგებმა გამოიცნეს მასში ფაშისტი, ფალანგისტი, ამასთან არა უბრალო, არამედ „ძველი პერანგის“ (ესპანეთის „ფალანგის“ ყველაზე რეაქციული ნაწილი) წევრი. ხიმენესი ცდილობდა ამის უარყოფას, მაგრამ იგი ამხილა დოკუმენტებმა: 1939 წლის მაისში გაცემულმა ფალანგისტის საწევრო ბილეთმა და, რაც მთავარია, 1941 წ. 14 მარტის სამსახურებრივმა ბრძანებამ № 127 „უშიშროების გენერალური სამმართველოსადმი“. ამ ბრძანების თანახმად ხიმენესი დანიშნულია ესპანეთის ოხრანკის „ზედამხედველობისა და ძიების კორპუსის“ აგენტად.

„ცისფერი დივიზიის“ შედგენის ისტორია საინტერესოა.

სსრ კავშირზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ ფრანკომ გამოაცხადა „ცისფერ დივიზიაში“ მოხალისეთა შეკრება. სერანო სუნიერი, ფრანკისტული ესპანეთის პრემიერ-მინისტრი, მადრიდში სიტყვით გამოვიდა და მოუწოდებდა ჩაწერილიყვნენ დივიზიაში.

მაგრამ მსურველნი ისე ცოტანი აღმოჩნდა, რომ მათგან ბატალიონის დაკომპლექტებაც ვერ მოხერხდა. მაშინ სამხედრო მინისტრმა გენერალმა ვარელამ ბრძანება გასცა, რომ დივიზია რეგულარული არმიის ხარჯზე დაკომპლექტებინათ.

რა თქმა უნდა, გაბრიყვებასაც ჰქონდა ადგილი. ჯარისკაცებს გამოუცხადეს, თქვენ ჩახვალთ გერმანელების მიერ უკვე ოკუპირებულ ტერიტორიაზე, „წამოიყვანთ ესპანელ ბავშვებს, რომლებსაც ბოლშევიკები სტანჯავენ“(!), „პარადით გაივლით მოსკოვში“ და სამშობლოში დაბრუნდებითო. გარდა ამისა, დაჰპირდნენ, რომ ყოველთვიურად მისცემდნენ ხელფასს: ესპანეთში—1.000 პესეტს, გერმანიაში—80 მარკას.

შუა ივლისში დივიზია,—მას სათავეში ჩაუყენეს ცნობილი ფალანგისტი მუნიოს გრანდე, ცოტა ხნის წინათ ჰიტლერის მიერ ორდენით დაჯილდოებული „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“, — ესპანეთიდან გერმანიაში გაემართა.

საფრანგეთზე გამოვლისას, მოგვითხრობენ ტყვეები როდრიგესი და ბლანკო, მათ ლანძღავდნენ, ვაგონების ფანჯრებში ქვას უშენდნენ და სხვ. ფრანგ ხალხს თავისი სიძულვილი გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ მათს ესპანელ დაქირავებულებზეც გადაჰქონდა.

შუა სექტემბერში დივიზია სუვალკში ჩამოვიდა.

აქ გამოირკვა, რომ ჯარისკაცები მოატყუეს. უწინარეს ყოვლისა იმათ განუცხადეს, რკინიგზის ტრანსპორტი გადატვირთულიაო, და თითქმის მთელი დანარჩენი გზა სუვალკიდან ნოვგოროდამდე (900 კილომეტრზე მეტი) მათ ფეხით გამოიარეს. თავისი შემადგენლობის ექვსი პროცენტი დივიზიამ გზაში დაჰკარგა.

დაპირებული 1.000 პესეტი არ მისცეს.

გერმანელები არ იძლევიან თამბაქოს, თეთრეულს, ცუდად ჰკვებავენ (250 გრამი პური, 50 გრამი მარგარინი, ცოტაოდენი კონსერვირებული ხორცი—მორჩა და გათავდა; ცხელი საჭმელი ხშირად არ არის).

თავისთავად ცხადია, მათ არც საზამთრო ტანსაცმელი მისცეს.

და, რაც მთავარია, მათ მოუხდათ ომი, ომი ყინვასა და თოვლში, მეტად შორს მოსკოვის მოედნებიდან.

საბჭოთა არტილერიამ, ნაღმსატყორცნებმა და ტყვიამფრქვევებმა ყინვასთან ერთად თავისი საქმე გააკეთეს: პირველსავე ბრძოლებში დივიზიის ნაწილებმა დიდი დანაკლისი განიცადეს.

ტყვეები მოგვითხრობენ, რომ 269-ე ქვეითი პოლკის 1-ლ ბატალიონის მე-4 ასეულის შემადგენლობის 130-150 კაციდან 30 კაციღა გადარჩა, ამ ასეულის მე-4 ოცეულის 36 კაციდან—მხოლოდ 2; დანარჩენი მოკლული, დაჭრილი და დამზრალია ან ავადმყოფობის მიზეზით გამოვიდა მწყობრიდან. იმავე პოლკის მე-5 ასეულში 16 მოჰკლეს და დასჭრეს, ხოლო 120 დამზრალია. ასეთივე მდგომარეობაა პოლკის სხვა ასეულებშიც, მაშინ როცა პოლკი არსებითად მხოლოდ 1-2 ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას და მუდამ თავდაცვაზე იყო, ფრონტის შედარებით წყნარ უბანზე.

ყველა ტყვე აცხადებს, რომ მათ არ სურთ იომონ, უკმაყოფილონი არიან, თავს გაბრიყვებულად და მოტყუებულად გრძნობენ.

მაგრამ უკან დგანან რევოლვერიანი ოფიცრები, მათ უკან კი—ავტომატიანი გერმანელები. იძულებული არიან იომონ. გარდა ამისა, მათ თავში ჩაუჭედეს, კომისრები ყველა ტყვეებს ხვრეტენო. რა თქმა უნდა, არიან ისეთებიც, რომლებსაც ეს ზღაპრები არ სჯერათ.

ემილიო როდრიგესმა დურგალმა, და ანტონიო პელაია ბლანკომ, მალაროელმა, გადმოსცურეს მდინარე, რომელიც ჩვენი ჯარის ნაწილებსა და გერმანიის ჯარებს ჰყოფს, თეთრი ცხვირსახოცი ასწიეს და ძახილით: „რუს, რუს, ესპანა კომუნისტა!“ და „ინტერნაციონალის“ სიმღერით ტყვედ დანებდნენ წითელარმიელებს.

„ცისფერი დივიზია“ იყინება: ყაჩაღები, რომლებსაც სურდათ მღვრიე წყალში თევზი დაეჭირათ, ანგარიშში მოტყუვდნენ.

ისინი მოსპობილი იქნებიან, ფრანკოს ეს გაყიდული უბადრუკი მეომრები.

ბატალიონის კომისარი
ლ. დუბროვიცკი,
ლ. კუდრევატიხ,
„იზვესტიას“ სპეციალური კორესპონდენტი.
1941 წლის 17 ნოემბერი.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე

შეუპოვარი სისხლისმღვრელი ბრძოლები

დასავლეთის ფრონტი, 30 ნოემბერი

კალინის მიმართულებით 12 დღეა სწარმოებს შეუპოვარი სისხლისმღვრელი ბრძოლები. გუშინ მთელი დღის განმავლობაში აღინიშნული არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი ოპერაცია ამ უბნის როგორც ცენტრში, ისე მარცხენა ფლანგზე. არასრული ცნობებით, მარტო რ-ს და ბ-ს რაიონებში წარმოებული ბრძოლების დროს ჩვენმა ჯარებმა მოსპეს 400-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 130 ტანკი, 37 ქვემეხი, 80 ტყვიამფრქვევი და დიდძალი სხვა იარაღი. ს-ს რაიონში საბჭოთა მეომრებმა 28 ნოემბერს დასწვეს ფაშისტთა 20 ტანკი და გაჟლიტეს 800 გერმანელი ქვეითი ჯარისკაცი. გუშინ, დილის 7 საათზე, ჩვენმა სახელოვანმა არტილერისტებმა ტ-ს რაიონში აღმოაჩინეს მტრის დიდი კოლონა და თავისი ქვემეხების ცეცხლით მოსპეს 100 ავტომანქანა გერმანელთა ქვეითი ჯარითა და ტვირთითურთ და დახოცეს 50 მოტოციკლისტი.

დაძაბული ბრძოლებით აღინიშნა გასული დღეღამე ვოლოკოლამსკის მიმართულებით. ჩვენი მებრძოლები კვლავ აკავებდნენ მტრის ჭარბი სატანკო და ქვეითი ძალების შემოტევას და კონტრიერიშები მიჰქონდათ მის ავანგარდებზე. მტრის ერთმა ბატალიონმა ტანკების დახმარებით დიდი დანაკლისის ფასად შესძლო სოფელ ნ-საკენ გაჭრა და მისი ხელში ჩაგდება. გერმანელთა წინწაწევის ყოველი შემდგომი ცდა მარცხით დამთავრდა. წარმატება არ ჰქონდა აგრეთვე მტრის ცდას ფლანგიდან შემოევლო ჩვენი მსროლელი ნაწილისათვის. მტერმა ზარალი ნახა და უკან დაიხია.

ჩვენი ცხენოსნები დიდ ბრძოლებს ეწევიან მტრის სატანკო და ქვეითს ძალებთან ბ-ს და ა-ს რაიონებში. საბჭოთა ჯარებმა ბელობოროდოვის მეთაურობით მტერს კ-ს რაიონში დიდი ზარალი მიაყენეს, გაჟლიტეს ათასამდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელში ჩაიგდეს სოფელი პ. ჩვენმა ცხენოსნებმა გაბედული კონტრიერიშით დაიკავეს პუნქტი ლ. და გერმანელებს რამდენიმე კილომეტრით დაახევინეს.

მოჟაისკისა და მალოიაროსლავეცის მიმართულებით ჩვენი ჯარები კვლავ ინარჩუნებდნენ თავდაცვის ძველ ზღუდეებს. უწინდებურად კარგად მუშაობენ მეთაურების ეფრემოვისა და გოლუბევის არტილერისტები. გასული დღეღამის განმავლობაში მათ ათ სხვადასხვა პუნქტში გაჰფანტეს გერმანელთა ჯარების დიდი დაჯგუფება, ჩააჩუმეს რამდენიმე საარტილერიო და სატყვიამფრქვევო ბატარეა და დაანგრიეს მტრის ბევრი სანგარი და ბლინდაჟი მათში მყოფი ქვეითი ჯარითურთ. ცხენოსნები ამხ. ბელოვის მეთაურობით ავიწროვებდნენ მტერს, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გამოიჭრა პუნქტ კ-სთან. გერმანელთა მე-17 სატანკო დივიზიამ, „სს“ მოტობატალიონმა და მტრის ქვეითმა პოლკმა, რომლებიც ზედ მიადგნენ პუნქტ კ-ს მისადგომებს, გუშინ წითელი კავალერიის დარტყმის შედეგად უწესრიგოდ იწყეს დახევა სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ. გერმანელებმა აქ დიდძალი ცოცხალი ძალა და მატერიალური ნაწილი დაკარგეს. მარტო სოფელ პ-ს რაიონში მათ დაკარგეს 18 ტანკი, 8 ჯავშნიანი მანქანა, 20 ავტომანქანა და ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი. საჰაერო ბრძოლაში აქ გუშინ ჩამოგდებულ იქნა მტრის ორი თვითმფრინავი. ამჟამად საბჭოთა ცხენოსნები ტანკისტებთან და არტილერისტებთან თანამოქმედებით განაგრძობენ მტრის დევნას. ამ უბანზე ჩვენს ხელში გადმოვიდა უკვე 20-მდე სოფელი.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

გავანადგუროთ ჰიტლერელი ქვეწარმავალნი

რადიოგადაცემა დასავლეთის ფრონტიდან

დასავლეთის ფრონტზე მოსკოვის მისადგომებთან გიგანტური ბრძოლა გრძელდება. საბჭოთა მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები ამ მრისხანე დღეებში, ებრძვიან რა გერმანელ დამპყრობლებს, იჩენენ არნახულ გმირობასა და სიმამაცეს. ლოზუნგი: „გამარჯვება, ან სიკვდილი“ — დედაქალაქის დამცველი თვითეული მებრძოლის ლოზუნგად გადაიქცა.

წითელარმიელი ფომინი, რომელიც თავის ნაწილში ცნობილი იყო როგორც ტანკების გამანადგურებელი, თავის ასეულთან ერთად იცავდა მცირე, მაგრამ მნიშვნელოვან ზღუდეს. მისკენ ტანკები მოდიოდნენ. მებრძოლებმა იხმარეს ტანკსაწინააღმდეგო გრანატები და საწვავიანი ბოთლები. 4 ტანკი წყობილებიდან იქნა გამოყვანილი. მეხუთე 5 მეტრზე მივიდა ფომინთან. გმირი მივარდა ტანკს, შეხტა მასზე, ახადა ზედა ლიუკი და შიგ გრანატი ჩაანარცხა. ტანკში აფეთქებულ საომარ მასალასთან ერთად მებრძოლი ფომინიც დაიღუპა გმირული სიკვდილით. იგი დაიღუპა, მაგრამ მტერი არ გამოუშვა.

უმცროსი ლეიტენანტი ბელონოსოვი თავის ზღუდეს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იცავდა. იგი სამჯერ დასჭრეს. ნაწილის კომისარმა უბრძანა უმცროს ლეიტენანტს დაუყოვნებლივ დაეტოვებინა წინა ხაზი. ბელონოსოვმა ითხოვა ნებართვა ერთი წუთი კიდევ ესროლა თავისი ავტომატი. ამ დროს უმცროსი ლეიტენანტი სასიკვდილოდ დაიჭრა. მომაკვდავმა ასე მიმართა კომისარს: „მაკოცე, ამხანაგო კომისარო“,—შემდეგ ამოიოხრა და მისუსტებული ხმით დაუმატა: „დასცხეთ მათ — ქვეწარმავლებს“.

ასე იქცევიან ბრძოლებში ჩვენი დევგმირები. მტერი მოძვრება. ფაშისტთა გამხეცებული ურდოები ცდილობენ გარს შემოუარონ მოსკოვს.

არ დავუტოვოთ მტერს არცერთი ხვრელი! გავანადგუროთ ჰიტლერელი ქვეწარმავალნი ყველგან, სადაც არ უნდა გამოჩნდნენ ისინი! — ასეთია დასავლეთის ფრონტის მებრძოლთა საბრძოლო ამოცანა, მოსკოვისა და მოსკოვის გარშემო მდებარე რაიონების მოსახლეობის საბრძოლო ამოცანა.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო 30 ნოემბერს იტყობინებოდა იმის შესახებ, რომ ამხ. ლელიუშენკოს მებრძოლებმა მტერთან ბრძოლის დროს დასავლეთის ფრონტის ერთერთ უბანზე გაანადგურეს გერმანელთა 15 ტანკი, 6 ქვემეხი, 12 დაზგის ტყვიამფრქვევი და მოსპეს მტრის 1.600-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

ასე და მხოლოდ ასე უნდა იქნან განადგურებული ფაშისტი ბანდიტები — გაბედული კონტრიერიშებით უნდა გამოეცალოს ქანცი მტერს, შეუბრალებლად უნდა განადგურდეს მისი ტექნიკა და ცოცხალი ძალა. როსტოვისა და სამხრეთის ფრონტების ჯარების გმირული მაგალითი, რომლებმაც გაანადგურეს გენერალ კლეისტის ჯგუფი და როსტოვში აღმართეს სახელოვანი საბჭოთა დროშა, აღაფრთოვანებს ყველა ჩვენგანს წმიდათა-წმიდა ბრძოლაში სამშობლოსათვის.

უფრო მაგრად დავარტყათ მტერს! ჰიტლერელი ყაჩაღები გავანადგუროთ უკანასკნელ კაცამდე.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

დასავლეთის ფრონტზე

დასავლეთის ფრონტი, 29 ნოემბერი (საკუთარი სპეცკორესპონდენტისაგან). გააფთრებული ბრძოლა ჩაღდება ჩვენი ფრონტის მთელ რიგ უბნებში. გერმანელ ფაშისტთა 50-მდე დივიზიაა თავმოყრილი დედაქალაქის მისადგომებზე. ჩვენი ჯარის ნაწილები მედგრად და მტკიცედ აკავებენ მტრის ჭარბ ძალებს, არაერთგზის გადადიან კონტრიერიშებზე. მტერი სისხლისაგან იცლება, მაგრამ მაინც წინ მოძვრება. მტრის დანაკლისი უდიდესია. მისმა დივიზიებმა, გერმანელი ტყვეების ჩვენებით, პირადი შემადგენლობის უკვე 30-40 პროცენტი დაჰკარგეს.

გერმანელები განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ კლინის მიმართულებით. აქ მათ ბრძოლაში რამდენიმე ქვეითი და სატანკო დივიზია გამოიყვანეს. სისხლისმღვრელი ბრძოლა ერთ წუთსაც არა სწყდება. გუშინ მტერმა კვლავ შესძლო ცალკეულ ადგილებში რამდენადმე შევიწროებინა ჩვენი ნაწილები. მაგრამ მტრის ეს ტერიტორიული წარმატება მას უდიდეს მსხვერპლად დაუჯდა. იგი პირდაპირ თავის ჯარისკაცთა გვამებზე მოიწევს. მარტო ბ-ს რაიონში ორი დღის ბრძოლის დროს გერმანელებმა დაჰკარგეს 2 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, 50 ტანკი, 12 ქვემეხი, 20 ტყვიამფრქვევი და მრავალი სხვა იარაღი.

იცავდა რა ზ. პუნქტს, გმირულად ინარჩუნებდა მინდობილ ზღუდეებს ასეული შანგინის მეთაურობით. ამ ასეულის მებრძოლებმა სამხედრო მოვალეობის თავდადებული შესრულების მაგალითი გვიჩვენეს, ისინი მტრის ბევრად უფრო ჭარბ ძალებს იგერიებდნენ, ლომებივით იბრძოდნენ. არცერთ მებრძოლს არ დაუტოვებია თავისი საბრძოლო პოსტი. გერმანელთა ბევრი ტანკი, რომლებიც ამ უბანზე ჩვენს ჯარებს შეხვდა, აღარასოდეს არ დაუბრუნდება მწყობრს. ზ. პუნქტის მისადგომები ათობით გერმანელი ჯარისკაცის გვამებით არის მოფენილი.

დიდი ბრძოლაა ვოლოკოლამსკის მიმართულებით. გერმანელთა ცდები, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულებით განვრცობილიყვნენ, ჩაფუშულ იქნა მათთვის დიდი ზარალის მიყენებით. ი-ს რაიონში ჩვენი ნაწილები ბრძოლით ახალ ზღუდეებზე გადმოვიდნენ.

მტერმა გააძლიერა მოქმედება მოჟაისკის მიმართულებითაც. მისი ქვეითი ჯარი არაერთხელ შეეცადა შემოჭრილიყო ჩვენი თავდაცვის ხაზში, მაგრამ ყოველთვის უკუგდებულ იქნა. ღამით ფრონტის ამ უბანზე ორივე მხარე საარტილერიო და სატყვიამფრქვევო სროლას ეწეოდა.

მალოიაროსლავეცის მიმართულებით განვლილი დღის მანძილზე ჩვენს ჯარებს თავდაცვის წინანდელი ზღუდეები ეკავათ და განუწყვეტლივ უშენდნენ არტილერიისა და ნაღმსატყორცნებს გერმანელთა ჯარების განლაგებას. ფრონტის ამ უბანზე საბჭოთა ქვემეხების ცეცხლმა რამდენიმე ადგილას გაჰფანტა მტრის ქვეითი ჯარის დიდი დაჯგუფებანი და ჩააჩუმა მისი რამდენიმე საარტილერიო და ნაღმსატყორცნი ბატარეა. მეთაურ გოლუბევის მეზენიტეებმა გერმანელთა 2 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ნ-ს რაიონში მოსპობილია მტრის 5 ოცეულამდე ქვეითი ჯარი, ხოლო სოფელ გ-სთან ღამით გაჩაღებულ ბრძოლაში განადგურებულია მტრის ასეული. გერმანელები გუშინ განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ მეთაურ ეფრემოვის ნაწილის უბანზე.

სტალინოგორსკის მიმართულებით საბჭოთა ჯარის ნაწილები განაგრძობდნენ იერიშებს ტ-პუნქტის რაიონში შემოჭრილი მტრის ძალის წინააღმდეგ და დაიკავეს მთელი რიგი სოფლები. მტრის ტანკებთან დიდი ბრძოლა მოხდა ი. პუნქტის რაიონში. სახელოვანმა საბჭოთა ქვეითმა ჯარისკაცებმა გასტეხეს მტრის ტანკების წინააღმდეგობა, განდევნეს იგი ტ-პუნქტიდან და შევიდნენ სოფელ ნ-ში. ტ-პუნქტის მისადგომებზე მოსპობილია გერმანელთა ასეულამდე ქვეითი ჯარი.

დიდ აქტივობას იჩენდა ორივე მხარის ავიაცია. ჩვენს მფრინავებს იერიშები მიჰქონდათ და ბომბავდნენ მტრის სატანკო კოლონებს, მის მოტომექანიზებულ ნაწილებსა და ქვეითს ჯარს.

ი. ზრიბოვი

როსტოვში დამყარდა წესრიგი და მშვიდობა

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

როსტოვის აღებასთან დაკავშირებით სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების სამხედრო საბჭომ გუშინ ჯარებს მიმართა ბრძანებით, რომელშიც ნათქვამია:

„როსტოვის მიმართულებით კლეისტის ჯავშნიანი მუშტისა და ვოროშილოვგრადის მიმართულებით შვედლერის ჯგუფის დარტყმით მტერი ცდილობდა გაეტეხა წითელი არმიის ნაწილების წინააღმდეგობა, მთლიანად ჩაეგდო ხელში დონბასი, როსტოვი და გაეხსნა თავისთვის გზა ჩრდილოეთ-კავკასიის პურის უხვმოსავლიანი მინდვრებისაკენ, გროზნოს და ბაქოს ნავთის კოშკებისაკენ. მტერმა, სარგებლობდა რა თავისი ძალების სიჭარბით, შეავიწროვა ჩვენი ჯარის ნაწილები და დაიკავა როსტოვი. ფაშისტების მკვეხარა პრესამ და რადიომ ქვეყანა გააყრუეს ცნობით ახალი დიდი გამარჯვების შესახებ. სამხრეთის ფრონტის არმიამ, რომელიც ხელმძღვანელობდა უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის მითითებებით, დროზე გადააჯგუფა თავისი ძალები, თავი მოუყარა საჭირო რეზერვებს და ორგანიზებულად გადავიდა შეტევაზე თავგასული მტრის ძალების წინააღმდეგ“.

ამ შეტევის პირველი შედეგების შესახებ მოხსენებული იყო საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობაში, რომელიც გამოქვეყნდა 24 ნოემბერს 20-23 ნოემბრის ბრძოლებში გერმანელების 49-ე სამთო-მსროლელთა კორპუსის, „სს“ დივიზია „ვიკინგის“, მე-16 სატანკო დივიზიის განადგურების და იმის შესახებ, რომ ჩვენმა ჯარის ნაწილებმა გამოსავალი პოზიციებიდან წინ წაიწიეს 60 კილომეტრით. უკვე ამ დარტყმამ ბევრი მხრივ ჩაშალა გერმანიის სარდლობის გეგმები სამხრეთით. გერმანიის სარდლობამ, როგორც ნათქვამია ამ რამდენიმე დღის წინათ „კრასნაია ზვეზდაში“ მოთავსებულ პოდპოლკოვნიკ კრაპივინის სტატიაში, სამხრეთის ფრონტზე თავი მოუყარა ჯარების დიდ რაოდენობას, რომელთა ნაწილი ურტყამდა როსტოვს, ხოლო ნაწილს ეს დარტყმა უნდა დაეცვა ჩრდილოეთიდან. მაგრამ სამი დღის ბრძოლის შედეგად ჩვენმა ჯარის ნაწილებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა.

ამ ბრძოლებში, როგორც „პრავდა“ 30 ნოემბრის ნომერში სწერს, საუკეთესოდ მოქმედებდნენ კირიჩენკოს ცხენოსანი ნაწილები, რომლებმაც მამაცური რეიდი მოაწყეს. მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე გავლით ისინი შეიჭრნენ ქალაქში. ჩვენმა დარტყმებმა ჩრდილოეთიდან საშუალება მისცეს რემიზოვის ნაწილებს თავს დასხმოდნენ მტერს სამხრეთიდან.

მდინარეთა თხელი ყინული საშუალებას არ აძლევდა ჩვენს ჯარის ნაწილებს მდინარეზე გადაეტანათ ტანკები და ქვემეხები და ისინი იძულებული იყვნენ გაშლილ ველზე ევლოთ. მაგრამ ქვეითმა ჯარმა და ცხენოსნებმა გმირულად სძლიეს ყოველგვარი დაბრკოლება და მკვირცხლი ნახტომით შეიჭრნენ როსტოვის სამხრეთ გარეუბნებში. ქუჩებში გაიმართა მძიმე ბრძოლები, რომელთა მიმდინარეობის დროს იძულებული იყვნენ აეღოთ თვითეული ქუჩა, თვითეული სახლი. ახლა ხარიტონოვის ნაწილები და ცხენოსნები განაგრძობენ უკანდახეული მტრის დევნას.

მტრის ტანკები, არტილერია, ტრაქტორები, მანქანები უკან იხევენ ჩალტირისაკენ როგორც გზებით, ისე უგზო-უკვლოდ. მეორე ავტოკოლონა, პანიკით მოცული, იხევს უკან სამბეკისაკენ. გერმანელების მიერ მოსაშველებლად გამოგზავნილი ავტოკოლონა მდინარე მიუსთან დაბანაკდა და შეაჩერა თავისი მსვლელობა. გენერალი კლეისტი ტაგანროგიდან მარიუპოლში გაიქცა.

როსტოვში დამყარდა წესრიგი და მშვიდობა. ქალაქში სიწყნარეა, სროლაც კი არ ისმის.

გააფთრებული ბრძოლები მოსკოვის მისადგომებზე

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

მიმდინარეობს მეორე დეკადა გერმანიის არმიის ახალი შემოტევისა მოსკოვზე. მთელ ფრონტზე დღისით და ღამით გრძელდება სისხლისმღვრელი ბრძოლები. უკანასკნელ დღეებში ეს ფრონტი კიდევ უფრო მოუახლოვდა დედაქალაქს. განსაკუთრებით დაძაბული ბრძოლები კვლავ სწარმოებს ფრონტის ჩრდილოეთისა და სამხრეთის უბნებზე, სადაც მტერი, როგორც ჩანს, ცდილობს შემოუაროს მოსკოვს.

„პრავდის“, „იზვესტიას“ და „კრასნაია ზვეზდის“ სპეციალური კორესპონდენტების სიტყვით, მდგომარეობა ფრონტის ცალკეულ უბნებზე შემდეგი სახით წარმოგვიდგება. ჩრდილოეთის უბანზე, რომლის სიგრძე მრავალ ათეულ კილომეტრს შეადგენს, ჩვენი ჯარები უფრო და უფრო მეტი გააფთრებით იბრძვიან. აქ განადგურებულ იქნა მტრის კოლონა, თითქმის მთლიანად მოსპობილია ქვეითი პოლკი. გერმანელებმა რამდენჯერმე სცადეს გაჭრილიყვნენ მოსკოვის უახლოეს მისადგომებზე ლენინგრადის გზატკეცილის გასწვრივ, მაგრამ ყოველთვის აწყდებოდნენ ჩვენი ჯარის ნაწილების წარმატებითს წინააღმდეგობას.

ვოლოკოლამსკის მიმართულებით გერმანელები დიდი ძალებით აწარმოებენ შემოტევას და ცდილობენ მიაღწიონ რიცხობრივ სიჭარბეს ცალკეულ უბნებზე. წააწყდა რა აქ მედგარ წინააღმდეგობას, მტერმა ისტრის მიმართულებით მოახდინა შემოვლითი მანევრი სამხრეთისაკენ და შესძლო რამდენადმე წაეწია წინ და დაეკავებინა მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. მოყინული გრუნტი მტერს მანევრირების შესაძლებლობას აძლევს და როდესაც იგი ძლიერ წინააღმდეგობას ხვდება, ერთბაშად იცვლის მიმართულებას. ვოლოკოლამსკის მიმართულებით გერმანელები ცდილობენ მრავალ პუნქტში გადასჭრან მაგისტრალები, რათა გააცალკევონ, დააქუცმაცონ ჩვენი ჯარის ნაწილები. ამას ისინი ზოგჯერ ახერხებენ, მაგრამ ჩვენი ბატალიონები და პოლკები კვლავ შეერთდებიან ხოლმე და მტერს შემდგომ, თავისთვის მოხერხებულ ზღუდეებზე ხვდებიან. მდგომარეობა ვოლოკოლამსკის მიმართულებით კვლავ მძიმეა.

მოჟაისკის მიმართულებით ჩვენი ჯარის ნაწილები წარმატებით იგერიებენ მტრის იერიშებს და მაგრდებიან დაკავებულ პოზიციებზე. გერმანელებმა სცადეს განევითარებინათ შეტევა ზვენიგოროდზე და რამდენადმე წაიწიეს წინ, მაგრამ ქალაქის ხელში ჩაგდების ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

პ. ლიდოვს თავის კორესპონდენციაში მოჰყავს ამონაწერები გერმანელი ჯარისკაცების წერილებიდან, რომლებიც ჩვენებს ჩაუვარდათ ხელში. ჯარისკაცები ამ წერილებში სწერენ გამანადგურებელ ცეცხლზე, რომელსაც საბჭოთა არტილერია ანვითარებს, გერმანიის არმიის მძიმე დანაკლისზე, ყინვების წინაშე შიშზე. „და მართლაც,—სწერს იგი დასასრულ,—გერმანელთა დანაკლისი და სიძნელეები, რასაც ისინი თავის შემოტევაში ხვდებიან, კოლოსალურია“.

ტულის რაიონში წარმოებული ბრძოლების შესახებ დაწვრილებით იუწყება „პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტი სიცოლოვი. „რუსი მეიარაღეთა სამშობლო, — ტელეგრაფით იტყობინება იგი ტულიდან,—ამჟამად მრისხანე დღეებს განიცდის. მტერი მშიერი მგელივით დაძრწის ქალაქის გარშემო. დღისით იგი შორმსროლელი არტილერიის ცეცხლს უშენს ქალაქს, ხოლო საღამოობით, სარგებლობს რა სიბნელით, ჩვენს წინა ხაზებთან მოაქვს ნაღმსატყორცნები, და უწესრიგოდ აყრის ცეცხლს საცხოვრებელ უბნებს. ტულის მდგომარეობა უკანასკნელ ხანს გართულდა. ხუთი დღის განმავლობაში მტერი ცდილობდა გაჭრას ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. 23 და 24 ნოემბერს გაჩაღდა გამძაფრებული სატანკო ბრძოლა. მტერმა გადასწყვიტა, რა ფასადაც უნდა დასჯდომოდა, ხელში ჩაეგდო ქალაქი №. სატანკო ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. მაგრამ მტერს ახალ-ახალი რეზერვები გამოჰყავდა და ჭარბი ძალების განუწყვეტელი მოწოლის შედეგად ჩვენმა ჯარის ნაწილებმა უკან დაიწიეს. ამ ქალაქისათვის წარმოებულ ბრძოლებში ჩვენმა ჯარის ნაწილებმა მოსპეს მტრის 2.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი და 30-მდე ტანკი“. მიიწევენ რა დასავლეთისაკენ, ფაშისტური ჯარები ცდილობენ შემოუარონ ტულას, გადასჭრან ტულა-სერპუხოვის გზატკეცილი და შეუერთდნენ გზატკეცილის დასავლეთით განლაგებულ თავიანთ დაჯგუფებას. ტულა გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ემზადება.

დგება გადამწყვეტი ბრძოლის დღეები

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

„გადამწყვეტ ფაზაში შევიდა ბრძოლა მოსკოვისათვის,—სწერს „პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტი პ. ლიდოვი.—ახლა ყველაფერი დამოკიდებულია წითელი არმიის მებრძოლთა შეუპოვრობაზე.

დასავლეთის ფრონტის ჩრდილოეთისა და სამხრეთის უბნებზე საბჭოთა ჯარები განაგრძობენ შეუპოვარ ბრძოლებს და აჩერებენ გერმანელთა ტანკებისა და ქვეითი ჯარის შემოტევას. ცენტრში ჩვენი ჯარები, იგერიებენ რა მტრის იერიშებს, ინარჩუნებენ დაკავებულ ზღუდეებს. კლინის მიმართულებით მტერი ანვითარებს შეტევას ჩრდილო-აღმოსავლეთით და დაიკავა რამდენიმე პუნქტი. მდგომარეობა აქ მეტად დაძაბული და რთულია.

გენერალ-მაიორ დოვატორის ცხენოსანი ჯგუფი, რომელსაც ტანკები ეხმარებოდნენ, დიდ კონტრშეტევაზე გადავიდა, ხუთი დასახლებული პუნქტი დაიკავა და განაგრძობს წარმატების განვითარებას.

ფაშისტები ძალებს იკრებენ შემოტევისათვის ლენინგრადისა და ვოლოკოლამსკის გზატკეცილებით. მაგრამ ვოლოკოლამსკის გზატკეცილზე ისინი ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ და დაიწყეს შემოვლითი მოძრაობა გზატკეცილის პარალელურად მისი სამხრეთის მხრიდან. აქ მათ ერთერთ პუნქტში შესძლეს ჩვენი თავდაცვის ხაზის გარღვევა და რამდენადმე შემოჭრა ჩვენი ჯარის ნაწილების განლაგებაში.

მოჟაისკისა და მალოიაროსლავეცის მიმართულებებით მტრის იერიშები მოგერიებულ იქნა. გერმანელებმა ზარალი ნახეს ჩვენი ზარბაზნებისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლის შედეგად და გამოსავალ მდგომარეობაში დაიხიეს. გერმანელებისათვის აგრეთვე დიდი ზარალით დამთავრდა მათი ცდა მიახლოვებოდნენ ტულა-მოსკოვის მაგისტრალს.

ტანკების, ქვეითი ჯარისა და ავიაციის ყველაზე უფრო დიდი ძალები მტერმა სტალინოგორსკის მიმართულებით, ტულიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მიაყარა. მეტად დაძაბული ბრძოლების შედეგად მან შესძლო 130-მდე ტანკის საშუალებით შემოჭრილიყო ქალაქ ვ-ს გარეუბნებში. ჩვენი ჯარები აქ აწარმოებენ ბრძოლებს იმ მიზნით, რომ მტერს საშუალება არ მისცენ წაიწიოს წინ ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ასეთია მდგომარეობა ფრონტზე. მტრის დიდი ძალები განაგრძობენ შემოტევას, თუმცა წარმატება ფაშისტებს ძვირად უჯდებათ“.

ფრონტის ნარო-ფომინსკის, მალოიაროსლავეცისა და სერპუხოვის მიმართულებებით არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ზოგიერთ ადგილებში გერმანელების მიერ დაწყებული იერიშები მოგერიებულ იქნა.

განსაკუთრებით დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა ტულის უბანზე. მრავალჯერ უშედეგოდ სცადეს რა აეღოთ ტულა, გერმანელებმა გადასწყვიტეს მისი შორიდან შემოვლა. ამ მიზნით მათ დაიწყეს შეტევა ტულიდან აღმოსავლეთით, რიაჟსკის მიმართულებით. ვენევაზე გადმოიყვანა რა თავისი ტანკების საგრძნობი ნაწილი, მტერმა დაიკავა რამდენიმე რაიონი. ჩვენი ჯარის ნაწილები გერმანელებს აქ შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ და სერიოზულად ურტყამენ მათ.

„კრასნაია ზვეზდას“ სპეციალური კორესპონდენტის სიტყვით, ფრონტის ამ უბანზე მტერი ალბათ ცდილობს მოამზადოს მოსკოვზე ზურგიდან დარტყმა. დგება გადამწყვეტი ბრძოლების დღეები.

ათი დღის შემოტევის შედეგად გერმანელებმა შესძლეს ფრონტის ხაზი დედაქალაქისაკენ წამოეწიათ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეჭვს გარეშეა, რომ იმედები, რომლებსაც ჰიტლერი ამყარებდა ნოემბრის შემოტევაზე, არ გამართლდა. მტერი დიდ ზარალს განიცდის, შიშის ზარით არიან მოცული გერმანიის ქალაქები და სოფლები აღმოსავლეთის ფრონტზე შეტევის გამო.

„შევაჩეროთ მტერი,—სწერს „კრასნაია ზვეზდა“,—გავრეკოთ გერმანელები მათ მიერ დაკავებული პოზიციებიდან, დავიცვათ მოსკოვი—ასეთია ბრძანება ჩვენი ჯარებისადმი, რომელსაც ვერავინ ვერ დაარღვევს და არც დაარღვევს“.

ვ. ყარა-მურზა

ბრძოლა მზარდი გააფთრებით მიმდინარეობს

დასავლეთის ფრონტი, 28 ნოემბერი (საკუთარი სპეციალური კორესპონდენტისაგან). ჩვენი ფრონტის მარჯვენა ფრთაზე ბრძოლა სულ უფრო და უფრო მზარდი გააფთრებით მიმდინარეობს. მტრის დიდი სატანკო და ქვეითი ძალები ცდილობენ ღრმად შემოიჭრნენ ჩვენი თავდაცვის ხაზში. ორ დღეს გრძელდებოდა ბრძოლა სოფელ რ-ს რაიონში. ჩვენი მებრძოლები, არტილერისტები და ტანკისტები მედგრად იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების იერიშს. მტერმა აქ თავი მოუყარა ახალ რეზერვებს, ვიწრო უბანზე ძლიერი შეჯავშნული მუშტი შეჰკრა და კვლავ გადმოვიდა შეტევაზე. ძალები უთანასწორო იყო, მაგრამ ჩვენი მებრძოლები მედგრად და თავდადებით ინარჩუნებდნენ თავიანთ პოზიციებს მანამდე, სანამ სარდლობის ბრძანება არ მოვიდა ახალ ზღუდეზე გადმონაცვლების შესახებ.

სოფელ რ-სთან მოპოვებული „გამარჯვება“ გერმანელებს უდიდეს მსხვერპლად დაუჯდათ. კ. და რ. პუნქტების რაიონში გზებსა და მინდვრებში ჰყრია გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა ათასობით გვამი, ათობით დამსხვრეული ტანკი და ქვემეხი. არასრული ცნობებით, აქ მარტო ჩვენმა ტანკისტებმა მოსპეს გერმანელთა 70 ტანკი, 25 ქვემეხი, 66 ტყვიამფრქვევი და მტრის 2.000 ქვეითი ჯარისკაცი.

ახალ საბრძოლო ზღუდეზე გადმოსვლის შემდეგ ჩვენს ჯარებს კიდევ უფრო მეტი გააფთრებით მიაქვთ კონტრიერიშები შეტევაზე გადმოსულ მტრის ქვეით ჯარსა და სატანკო ნაწილებზე, ჰქანცავენ და სისხლისაგან სცლიან მათ.

დიდი ბრძოლაა ვოლოკოლამსკის მიმართულებით. მტერმა, ს პუნქტის დატოვების შემდეგ, მთელი თავისი ძალღონე მიჰმართა ამ პუნქტის ჩრდილოეთითა და დასავლეთით. ჩრდილოეთის მიმართულებით მან ბრძოლაში გამოუშვა ერთი ქვეითი და ორი სატანკო დივიზია. დასავლეთის მიმართულებით — ერთი ქვეითი და ერთი სატანკო დივიზია. ი. პუნქტის რაიონში თავმოყრილი მტრის ძალები აღმოსავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მოეშურებიან. უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში გერმანელებმა რამდენჯერმე სცადეს შემოჭრილიყვნენ კ-ს რაიონში, რისთვისაც ბრძოლაში გამოჰყავდათ 40-მდე ტანკი და დიდძალი ქვეითი ჯარი. ჩვენმა ჯარებმა ინტენსიური საარტილერიო ცეცხლითა და გაბედული კონტრიერიშებით მოიგერიეს ყველა ეს იერიში და მტერი დიდი ზარალით იქნა უკუგდებული მდინარე კ-ს დასავლეთ ნაპირზე. გერმანელ მეავტომატეთა დიდი ჯგუფი, რომელიც სოფელ ბ-ში შემოიჭრა, გუშინ იქიდან გარეკეს ჩვენმა ნაწილებმა.

მოჟაისკის მიმართულებით ორივე მხარე არტილერიის, ნაღმსატყორცნისა და ტყვიამფრქვევის სროლას ეწეოდა. მ-ს რაიონში ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს რამდენიმე იერიში გერმანელთა ქვეითი ჯარისა, რომელიც ცდილობდა ჩვენი თავდაცვის განლაგებაში შემოჭრილიყო. მეთაურ ლენკოვის ნაწილმა ადგილობრივ ბრძოლაში ერთ დღეს 600 გერმანელი მოსპო.

მალოიაროსლავეცის მიმართულებით საბჭოთა ჯარები კვლავ ინარჩუნებდნენ ძველ საბრძოლო ზღუდეებს და წარმატებით იგერიებდნენ მტრის ცალკეულ ჯგუფთა იერიშებს. მეთაურ ეფრემოვის არტილერიამ მოწინააღმდეგის ორი ბატარეა ჩააჩუმა.

მეთაურ ზახარკინის ერთ-ერთმა ნაწილმა გუშინ იერიში მიიტანა მტერზე, დაიკავა ორი დასახლებული პუნქტი და მდინარე ოკის დასავლეთ ნაპირზე გარეკა გერმანელთა ქვეითი ჯარის ნაშთი.

ფრონტის მარცხენა ფრთაზე საბჭოთა ჯარებმა მტრის წინსვლა შეაჩერეს და გუშინ წარმატებითი კონტრიერიში მიიტანეს მის ავანგარდებზე, დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, რომლებშიც დამკვიდრდნენ. 27 ნოემბერს ღამით ჩვენმა გვარდიელებმა პუნქტ დ-დან გამორეკეს გერმანელები და სოფელ პ-ს ჩრდილოეთ განაპირა უბანში გავიდნენ. ახლა აქ დიდი ბრძოლაა.

გასული დღე-ღამის მანძილზე დიდ აქტივობას იჩენდა ფრონტზე ორივე მხარის ავიაცია. ჩვენი მფრინავები ხელს უწყობდნენ საბჭოთა მოწინავე ნაწილების მოქმედებას, იერიში მიჰქონდათ და ბომბავდნენ მტრის თავმოყრილ სატანკო კოლონებს, მოტონაწილებს და ქვეითს ჯარს.

გერმანიის თვითმფრინავების თავდასხმა მოსკოვზე

30 ნოემბრის განმავლობაში გერმანელთა თვითმფრინავების რამდენიმე ჯგუფმა სცადა მოსკოვზე თავდასხმა. მოსკოვის მისადგომებზე მოხდა მრავალრიცხოვანი ბრძოლები ჩვენი ავიაგამანადგურებლებისა მტრის ავიაციასთან. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულ იქნა გერმანელთა 22 თვითმფრინავი. ჩვენ 6 თვითმფრინავი დავჰკარგეთ. ქალაქის რაიონში შემოჭრილმა მტრის რამდენიმე თვითმფრინავმა უწესრიგოდ ჩამოყარა ფუგასური ბომბები არასამხედრო ობიექტებზე. არის მსხვერპლი.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

რუზველტის განცხადება შორეულ აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

ვაშინგტონი, 30 ნოემბერი (საკდესი). პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს რუზველტმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჯერ კიდევ არ მოსვლია ტოკიოდან ა. შ. შტატების მიერ 26 ნოემბერს გაგზავნილი ნოტის პასუხიო. რუზველტი შეეხო ამერიკის სავაჭრო გემების შეიარაღების საკითხს და განაცხადა, არსებულ ვითარებაში ა. შ. შტატები არ აპირებენ შეაიარაღონ ის გემები, რომელნიც წყნარ ოკეანეში დადიანო. მან აღნიშნა, ტოკიოს ყველაზე კარგად შეუძლია ამ ვითარების ახსნაო.

რუზველტმა განაცხადა აგრეთვე, რომ ა. შ. შტატები არ აპირებენ შეაიარაღონ ესპანეთს მიმავალი გემები, აგრეთვე ის გემები, რომლებიც ამერიკის ქვეყნებს დადიანო.

შემდეგ რუზველტმა სთქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები განსაკუთრებულ მოთმინებას იჩენენ და ცდილობენ იაპონიასთან შეთანხმებას მიაღწიონო. პრეზიდენტმა უარყოფითი პასუხი გასცა კითხვაზე, მარცხით ხომ არ დამთავრდა იაპონიასთან მოლაპარაკებაო.

მიუხედავად განცხადებისა, რომ იაპონიასთან მოლაპარაკება მარცხით არ დამთავრებულაო, ამერიკის უმაღლესი ხელისუფალნი არ ჰფარავენ თავის შეშფოთებას იმის შესახებ, რომ შორეულ აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა სერიოზულია. მაღალ წრეებში შეეხნენ იაპონია-ამერიკის დამოკიდებულებას და განაცხადეს, რომ ამა წლის გაზაფხულიდან ამერიკის შეერთებული შტატები მუდამ ცდილობდნენ იაპონიასთან მოლაპარაკების გზით შეენარჩუნებინათ საერთო მშვიდობიანობა წყნარი ოკეანის რაიონში, აღედგინათ ნორმალური პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა წყნარ ოკეანეში და დაეცვათ თავდაუსხმელობის პრინციპი. სახელმწიფო მდივანი და პრეზიდენტი მოთმინებით ცდილობდნენ მიეღწიათ საკითხების მოწესრიგებისათვის ამ საფუძველზე.

იაპონია-ამერიკის გაცხარებული მოლაპარაკების დროს, განაცხადეს ამ წრეებში, გაიგზავნა იაპონიის ექსპედიცია ინდო-ჩინეთს, რამაც ამერიკის მთავრობის ღრმა შეშფოთება გამოიწვია, რამდენადაც ეს ექსპედიცია მეტად მოგვაგონებდა ჰიტლერის მეთოდებს ევროპაში, განსაკუთრებით ბალკანეთში, სადაც ჰიტლერი ახორციელებდა სხვადასხვა ქვეყნებში თანდათანობითი შესვლის პროგრამას, სანამ მან არ მოამზადა გადამწყვეტი იერიში იუგოსლავიისა და საბერძნეთის დაპყრობის მიზნით. ინდო-ჩინეთს გაგზავნილმა იაპონიის ექსპედიციამ აიძულა ამერიკის შეერთებული შტატები ჩაფიქრებოდნენ იმას, ასეთივე საფრთხე ხომ არ ემუქრება ფილიპინის კუნძულებს, რომლებიც ამერიკის დროშის ქვეშ იმყოფებიანო. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა შეშფოთებულია არა მარტო ფილიპინების გამო, არამედ იმ შედეგის გამო, რომელიც მოჰყვება ასეთი პოლიტიკის გამოყენებას წყნარი ოკეანის მთელი რაიონის მიმართ.

შემდეგ მაღალ წრეებში დასძინეს, რომ ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატები მოელიან, რომ ტოკიომ უნდა განაცხადოს თავისი განზრახვები. უპასუხეს რა კითხვაზე, ამერიკის შეერთებული შტატები სტატუს ქვოს ხომ არ ემხრობიანო, ამ წრეებში განაცხადეს: უდავოა, რომ ამერიკა არ არის ჩინეთისა და ინდო-ჩინეთის ახლანდელი სტატუსის შენარჩუნების მომხრე და, რომ იგი, პირიქით, ცდილობს აცილებულ იქნას ახლანდელი აგრესია და ისწრაფვის სადარაჯოზე იდგეს ახალი აგრესიის წინააღმდეგ. ამ წრეებში დადებითი პასუხი გასცეს კითხვაზე იმის შესახებ, მტკიცე და გადამწყვეტია თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ჩინეთის სიტუაციის მიმართო. მაღალმა წრეებმა მტკიცედ განაცხადეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ აპირებენ დასთმონ რაიმე ჩინეთისა და ინდო-ჩინეთის საკითხშიო.

ბენეშის სიტყვა

ლონდონი, 29 ნოემბერი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა ბენეშმა სიტყვა წარმოსთქვა ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საბჭოს სესიის გახსნაზე ლონდონში.

— გერმანიას ესმის, რომ იგი ომს აგებს,— სთქვა მან,—და ამით არის გამოწვეული ტერორი, რასაც ჰაიდრიხი პრაღაში მიმართავს. გერმანიის გენერლებს იმედი ჰქონდათ, რომ შეთანხმებას დასდებდნენ ინგლისთან, მაგრამ ვარაუდობდნენ, რომ ცენტრალურ ევროპაში, განსაკუთრებით კი ჩეხიასა და პოლონეთში თავის ბატონობის შენარჩუნებას შესძლებდნენ მაშინაც კი, თუ იძულებული გახდებოდნენ მოეხდინათ დასავლეთ ევროპის ევაკუაცია. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ადვილად შესძლებდნენ რუმინეთისათვის, ბულგარეთისათვის, ხორვატიისა და სლოვაკიისათვის მიეღებინებინათ ევროპის ახალი წყობილება და რომ დასავლეთ ევროპას არაფერი ეცოდინებოდა იმის შესახებ, თუ როგორ ეპყრობიან ჩეხებს, სლოვაკებსა და სერბიელებს, ხოლო ინგლისი და ა. შ. შტატები გერმანელებს მიანებებდნენ რუსეთში ისე ეგანმგებლათ როგორც ენებებოდათ. ამ მიზნებით მათთვის საჭირო იყო, რომ ჩეხებს სამარისებრი სიჩუმე დაეცვათ, მაგრამ ჩეხები ამას არ შეურიგდნენ. ტერორის გაძლიერებამ ჩეხების წინააღმდეგობა გააძლიერა და ეს წინააღმდეგობა უფრო შეუპოვარი გახადა. ინგლისი, ა. შ. შტატები და საბჭოთა კავშირი ზავს არ დასდებენ ჰიტლერის გერმანიასთან ან ჰიტლერელ გენერლებთან და საზოგადოდ დიდმპყრობელურ გერმანიასთან, მაგრამ ბრძოლა მძიმე იქნება და სწორი არ იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ ყველაზე უარესი თითქოს განვლილია. ყველაზე უფრო ინტენსიური ფაზა მხოლოდ ახლოვდება. მე ვფიქრობ,—განაგრძო ბენეშმა,—რომ 1942 წელი ომის გადამწყვეტი წელი იქნება. მე ვფიქრობ, რომ ომი ამ წლის შემდეგ დიდ ხანს აღარ გაგრძელდება. ამიტომ ჩვენ პოლიტიკური ხასიათის ყოველგვარ ღონისძიებას ვხმარობთ, რათა ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც ჩვენ აქ შეგვიძლია და უნდა გადავწყვიტოთ კიდევაც, გადაწყვეტილ იქნას მომავალი ზამთრის დადგომამდე.

ბენეშმა აღნიშნა „ჩეხიისა და მორავიის პროტექტორატის“ მთავრობა და მისი პრეზიდენტი დიდი ხანია უკვე მთავრობას აღარ წარმოადგენენ და ამას საბოლოოდ ადასტურებენ სიკვდილით დასჯანი, რასაც ჰაიდრიხი მიმართავს.

მქუხარე ტაში გაისმა, როდესაც ბენეშმა ხაზგასმით აღნიშნა მეგობრობა საბჭოთა კავშირთან და განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობამ სავსებით და შეუზღუდველად სცნო ჩეხიის მთავრობა, რომელიც ლონდონში იმყოფება. ბენეშმა დასძინა: „ამ ომში საბჭოთა კავშირს თავის თავზე გადააქვს ძირითადი დარტყმა. იგი იბრძვის არამარტო თავისათვის, არამედ ყველა ჩვენგანისათვის“.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ პროკოპ მაქსამ სთქვა: „ჩვენ კმაყოფილი ვართ იმით, რომ პოლონეთსა და სსრ კავშირს შორის შეთანხმების დადებამ თავიდან აგვაცილა უკანასკნელი დაბრკოლებანი ჩვენ სლავ მეზობლებთან მჭიდრო თანამშრომლობაში. ჩვენ მეტად აღტაცებული ვართ გმირი წითელი არმიით და მამაცი საბჭოთა ხალხით და მადლობას ვწირავთ მათ იმ მსხვერპლისათვის, რასაც ისინი იღებენ ჩვენი საერთო ომის ძლევამოსილად დამთავრებისათვის. ჩვენ დიდი მადლობელი ვართ ჩერჩილისა, სტალინისა და რუზველტისა, რომლებიც ესოდენ დიდ დახმარებას გვიწევენ ჩვენ და ჩვენს საქმეს“.

ამერიკელი სენატორები საფრანგეთ-ამერიკის ურთიერთობის შესახებ

ნიუ-იორკი, 29 ნოემბერი (საკდესი). გავლენიანმა სენატორმა ნორკისმა (დამოუკიდებელი, ნებრასკის შტატიდან) განაცხადა: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იმასთან დაკავშირებით, რომ „პეტენი დაქვემდებარებულია ჰიტლერისადმი“, ვიშის მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობა უნდა გასწყვიტოსო.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს: ნორკისის განცხადებამ დიდი ინტერესი გამოიწვია იმასთან დაკავშირებით, რომ მან წინადღით რუზველტთან ისაუზმა და, როგორც ჰფიქრობენ, პრეზიდენტთან საგარეო პოლიტიკის საკითხები განიხილაო.

სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ კონელმა აღნიშნა: პირადად იმის წინააღმდეგი ვარ, რომ ვიშთან ურთიერთობა დაუყოვნებლივ იქნას გაწყვეტილიო, მაგრამ დასძინა, ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული იქნებიან საფრანგეთი თავის მტრად მიიჩნიონ, თუ ვიშის მთავრობა თავის ჩრდილოეთ აფრიკის ტერიტორიებს, აგრეთვე თავის ფლოტს გერმანიის განკარგულებაში გადასცემსო. ასეთ პირობებში,—სთქვა მან,— ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული იქნებოდნენ საფრანგეთის დასავლეთ ნახევარსფეროს სამფლობელოთა ოკუპაცია მოეხდინათო.

გერმანია ბულგარეთისაგან მოითხოვს გაგზავნოს ჯარები იუგოსლავიაში

სტამბოლი, 29 ნოემბერი (საკდესი). ჟურნალისტთა წრეებში გადმოგვცემენ, რომ გერმანელებმა ბულგარეთის მთავრობას მოსთხოვეს შეიყვანოს ბულგარეთის ჯარები სერბიის ტერიტორიაზე. ეს მოთხოვნა იმით არის გამოწვეული, რომ გერმანელებს არ ძალუძთ ამჟამად ჯარის დამატებითი ნაწილები გამოჰყონ აჯანყებულთა მოძრაობასთან საბრძოლველად, ხოლო სერბიაში მყოფი გერმანელთა ჯარები აჯანყებულებს ვერ ერევიან. ბულგარეთის მთავრობას ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ მიუღია. ამის მიზეზი ის გარემოებაა, რომ უკანასკნელ ხანს იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა იუგოსლავიელ პარტიზანებს, რომლებიც ბულგარეთის მიერ ოკუპირებული მაკედონიის მომიჯნავე რაიონებში მოქმედებენ, ხელთ ჩაუვარდათ ცალკეული ბულგარელი ჯარისკაცები. პარტიზანები მაშინვე ათავისუფლებდნენ მათ და აცხადებდნენ: ბულგარელ ხალხთან ომი არა გვსურსო. ეს ფაქტები მთელმა ბულგარეთის არმიამ შეიტყო და ბულგარელ ჯარისკაცებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ინგლისის თვითმფრინავების მიერ ნეაპოლის დაბომბვის დაწვრილებითი ცნობები

ლონდონი, 30 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ავიაციის სამინისტროს საინფორმაციო განყოფილება აქვეყნებს ნეაპოლზე ინგლისის ავიაციის თავდასხმის დაწვრილებით ცნობებს. დაბომბვა მზიანი ამინდისა და კარგი ხილვადობის პირობებში ხდებოდა. თვითმფრინავების პირველმა რგოლმა ბომბები დააყარა ნავთსაცავებს და ცეცხლი გაუჩინა მთელ რიგ რეზერვუარებს. ამ დროისათვის მოუსწრეს ძირითადმა ძალებმა, რომლებმაც დაბომბეს სამეფო არსენალი, ტორპედების დამამზადებელი და საავიაციო ქარხნები. საავიაციო ქარხანაში დანგრეულია მთელი რიგი საამქროები და საწყობი. არსენალში რამდენიმე ადგილას ხანძარი გაჩნდა. ტორპედების დამამზადებელ ქარხანაში ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა, რომელიც კიდევ უფრო გავრცელდა მას შემდეგ, რაც ინგლისის თვითმფრინავებმა ხელმეორედ ჩამოჰყარეს ბომბები, რაც მძვინვარე ცეცხლში მოხვდა. მფრინავმა, რომელმაც ნეაპოლი უკანასკნელმა დასტოვა, დასთვალა, რომ ხანძარი 16 ადგილას ბობოქრობდა.

იტალიელთა ღამის ავიაგამანადგურებლები შეეცადნენ იერიში მოეტანათ ინგლისის 2 თვითმფრინავზე, მაგრამ უშედეგოდ. ინგლისის ბომბდამშენმა იტალიელთა ავიაგამანადგურებელი რამდენიმე ტყვიით დაცხრილა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება

ნიუ-იორკი, 30 ნოემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ ამერიკის მთავრობას განზრახვა აქვს იცნოს სირიისა და ლივანის დამოუკიდებლობა, როდესაც ამას შესაძლებელს გახდის საერთაშორისო ვითარება.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ახლო აღმოსავლეთში ამერიკის სამხედრო მისიის საქმიანობის შესახებ

ნიუ-იორკი, 30 ნოემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის ვაშინგტონელი კორესპონდენტის გადმოცემით, საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის განმახორციელებელი სამმართველო ითვალისწინებს საწყობების, დოკების, მისასვლელი გზებისა და თვითმფრინავთა დასაშვები მოედნების ფართო მშენებლობას მეწამული ზღვის რაიონში. ამ მშენებლობას ხელმძღვანელობას გაუწევს ამერიკის სამხედრო მისია გენერალ მაქსუელის მეთაურობით. ამ მისიის ამოცანას წარმოადგენს მოაწესრიგოს საჭურვლის სწრაფად მიტანა ინგლისის ჯარის ნაწილებისათვის ახლო აღმოსავლეთში.

ჰელისა და ჰალიფაქსის თათბირი

ლონდონი, 29 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო ვაშინგტონიდან გადმოგვცემს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰელი და ინგლისის ელჩი ჰალიფაქსი დღეს დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში იხილავდნენ შორეული აღმოსავლეთის მდგომარეობას. თათბირის შემდეგ ჰალიფაქსმა ჟურნალისტებს აცნობა: ინგლისი მჭიდროდ თანამშრომლობს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და სავსებით ეთანხმება ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას. იაპონიამ გადამწყვეტი არჩევანი უნდა მოახდინოსო. ჰელმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: მდგომარეობის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება მანამდე, სანამ იაპონიის მთავრობა არ განსაზღვრავს თავის დამოკიდებულებას ჩემი წინადადებებისადმი, რომლებიც იაპონიის წარმომადგენლებს გადაეცაო. ჰელმა უარი სთქვა გაეცა პასუხი კითხვაზე: ჰფიქრობთ თუ არა თქვენ, რომ ტაიზე თავდასხმა კონფლიქტს გამოიწვევდა წყნარ ოკეანეშიო.

ინდო-ჩინეთის ეკონომიური მდგომარეობა

შანხაი, 29 ნოემბერი (საკდესი). სინგაპურის რადიოსადგურმა გამოაქვეყნა ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ ინდო-ჩინეთის შესახებ საფრანგეთ-იაპონიას შორის დადებული შეთანხმება შეიცავს პუნქტებს, რომლებიც იაპონიას ინდო-ჩინეთში ეკონომიური ბატონობის უფლებას აძლევენო. ამჟამად ინდო-ჩინეთის ეკონომიური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. იაპონიამ ინდო-ჩინეთის ბაზრებზე ხელოვნურად შექმნა დეპრესია და არ შეასრულა თავისი ვალდებულება „თანამშრომლობის შესახებ“.

ჩინელების დაპატიმრება შანხაის რაიონში

შანხაი, 29 ნოემბერი (საკდესი). ნანკინის მთავრობის იუსტიციის სამინისტროს შანხაის განყოფილებამ გამოაცხადა, რომ შანხაის რაიონში ამ უკანასკნელ ხანს დააპატიმრეს 120-ზე მეტი ჩინელი, რომლებსაც ბრალად დასდეს ვითომდა მათ მიერ ჩადენილი ტერორისტული მოქმედება.

დაპატიმრებანი საიგონში

შანხაი, 29 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ იაპონიის სამხედრო ხელისუფალნი გარშემოერტყნენ საიგონის რამდენიმე უბანს და მის მიდამოებს და 60-მდე კაცი დააპატიმრეს. 22 ნოემბერს დაპატიმრებულ იქნა 40 ანამიტი. ინდო-ჩინეთის ხელისუფლებმა იაპონელ ხელისუფლებს სასტიკი პროტესტი განუცხადეს.

ფარული რადიოსადგური ესპანეთში

ნიუ-იორკი, 30 ნოემბერი (საკდესი). ამერიკული ჟურნალი „ნიუს უიკი“ სწერს, რომ ესპანეთის პოლიცია ამაოდ ცდილობს აღმოაჩინოს ფარული ანტიფაშისტური რადიოსადგურის ადგილსამყოფელი. ჰფიქრობენ, რომ ეს სადგური სადღაც პირენეის მთებშია.

ღერძის სახელმწიფოთა ფლოტის ზარალი ოქტომბერსა და ნოემბერში

ლონდონი, 29 ნოემბერი (საკდესი). როგორც ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, 1 ოქტომბრიდან 28 ნოემბრამდე ღერძის სახელმწიფოებმა ხმელთაშუა ზღვაში დაჰკარგეს 68 გემი, აგვისტოსა და სექტემბერში კი—71 გემი.

ნოემბრის 28 დღის განმავლობაში ინგლისის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის წყალქვეშა ნავებმა ჩასძირეს მოწინააღმდეგის 7 სატვირთო გემი, 1 საესკადრო ნაღმოსანი, 2 იალქნიანი ხომალდი. შესაძლებელია ჩასძირეს 1 კრეისერი, 1 სატვირთო გემი, 1 საესკადრო ნაღმოსანი და დააზიანეს 4 სატვირთო გემი, 1 შხუნა, 3 საესკადრო ნაღმოსანი, 2 დამხმარე კრეისერი, 1 ტანკერი და 1 საბადრაგო გემი. წყალქვეშა გემებმა ჩასძირეს 11 სატვირთო გემი და 3 საესკადრო ნაღმოსანი. შესაძლებელია ჩასძირეს 1 ტანკერი და დააზიანეს 1 საესკადრო ნაღმოსანი.

გადაწყვეტილება ხორეზმშეჰრ-აჰვაზის რკინიგზის მშენებლობის შესახებ

თეირანი. ირანის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ხორეზმშეჰრ-აჰვაზის რკინიგზის მშენებლობის შესახებ. რკინიგზის სიგრძე 120 კილომეტრი იქნება. ამ მიზნით ირანის მთავრობამ 150 მილიონი რეალი გაიღო.

მატყლისა და ნედლი ტყავის თავისუფალი ექსპორტი ირანიდან

თეირანი. ირანის მთავრობამ მატყლისა და ნედლი ტყავის თავისუფალი ექსპორტის ნება დართო.

გონდარის კაპიტულაცია

6 თვის წინააღმდეგობის შემდეგ იტალიელმა გენერალმა ნასიმ ინგლისისა და აბისინიის ჯარებს ჩააბარა გონდარის სიმაგრე, რომლის გარნიზონი 10 ათასი კაცისაგან შესდგებოდა. ასე დაამთავრა თავისი ხანმოკლე და უსახელო არსებობა იტალიის აღმოსავლეთ აფრიკის კოლონიამ. აბისინიაში უკვე არც ერთი იტალიელი ჯარისკაცი არ დარჩენილა. ის დამცირება, რომელიც რომის უგუნურმა „ცეზარმა“ მუსოლინიმ განიცადა, მით უფრო მწარეა, რომ უკანასკნელ ბრძოლაში, რომელმაც გონდარის ბედი გადასწყვიტა, მთავარი როლი აბისინიის ჯარს ეკუთვნოდა.

აბისინია იმთავითვე წარმოადგენდა ცდუნებას იტალიის იმპერიალიზმისათვის და ამავე დროს ისეთ ქვას, რომელზედაც იმსხვრეოდა რომაელ დამპყრობთა უზომო მისწრაფებანი. 1896 წლის მარტში ადუასთან გამართულ ცნობილ ბრძოლაში აბისინელმა ხალხმა სასტიკად დაამარცხა იტალიის ჯარი. იტალიამ დიდი ხნით აიღო ხელი მისი მაცდუნებელი სახელმწიფოს დაპყრობაზე, ხოლო ადუასთან გამართული ბრძოლა მეხსიერებაში დარჩა, როგორც იტალიელი მილიტარისტებისათვის სამარცხვინო ამბავი. როდესაც მუსოლინი 1935 წელს აბისინიის წინააღმდეგ ახალ ლაშქრობას იწყებდა, მას იმედი ჰქონდა, რომ შოვინისტური ხმაურით გამოასწორებდა იტალიის ფაშიზმის წამხდარ საქმეს.

აბისინიის დაპყრობა თითქმის 2 წელს გრძელდებოდა. ცუდად შეიარაღებული და სრულიად შეუიარაღებელი აბისინელი გლეხების წინააღმდეგ მუსოლინიმ აამოქმედა ავიაცია, ტანკები, მომწამვლელი გაზები. როდესაც 1941 წლის დამდეგს ინგლისმა იტალიის წინააღმდეგ საომარი მოქმედება დაიწყო, მუსოლინის აბისინიაში ჰყავდა ახალი ტექნიკით, ავიაციით და ტანკებით შეიარაღებული 300-ათასიანი არმია. მაგრამ, ამის მიუხედავად, იტალიელები დაამარცხეს და აბისინიიდან განდევნეს. სულ მოკლე ხნის განმავლობაში აბისინია გაწმენდილ იქნა ოკუპანტებისაგან და მხოლოდ გონდარი დარჩა მიუვალ მთებში ერთად-ერთ ადგილად, სადაც ჯერ კიდევ გამაგრებული იყო იტალიელთა გარნიზონი.

რის იმედი ჰქონდა გონდარში მყოფ გარნიზონს, როდესაც იგი ასე დაჟინებით ებღაუჭებოდა აბისინიის უკანასკნელ მთებს? იმის იმედი, რომ ჰიტლერი დაეხმარება თავის მოკავშირე მუსოლინის და გამოუგზავნის თავის ნაქებ სატანკო დივიზიებს იმისათვის, რომ გაანთავისუფლოს გონდარში მყოფი იტალიელები და კვლავ დაიმონოს აბისინია. მაგრამ აფრიკის უდაბნოებისფრად შეღებილი ტანკები სასწრაფოდ რუსეთის ველების თოვლისფრად შეღებეს და მათი ნამსხვრევები ლითონის შავ გროვებად ჰყრია მოსკოვის მისადგომებთან. ჰიტლერი ვერ დაეხმარა მუსოლინის. უფრო მეტიც, იტალიელთა ის რეზერვები, რომლებიც გონდარის გარნიზონის დასახმარებლად უნდა წასულიყვნენ, სამარცხვინოდ იღუპებიან საბჭოთა ქვეყნის ველებზე.

ფაშისტური გაზეთები რომში ძუნწად სწერენ: იტალია სიამაყით აღსავსე მწუხარებას განიცდისო. მაგრამ რა არის აქ საამაყო? იტალია პასუხს აგებს მუსოლინის ავანტიურისა და იმისათვის, რომ იტალიელი ფაშისტები ნდობით მოეკიდნენ გერმანელ ფაშისტებს. რა მისცა იტალიას ჰიტლერთან კავშირმა? არაფერი, გარდა ზარალისა და სირცხვილისა. გონდარი იტალიის ისტორიაში შევა, როგორც ადუასთან განადგურების განმეორება. ლიბიაში კი იტალიას არანაკლებ სამარცხვინო დღეები მოელის. დაფნის გვირგვინში, რომლითაც თავი დაიმშვენა ყალბმა „ცეზარმა“, უბილო სვავმა მუსოლინიმ, არც ერთი ფოთოლი არ დარჩა. იტალიის აღმოსავლეთ აფრიკის კოლონიური იმპერია, რომელიც ესოდენი სიამაყით გამოცხადდა რომში, აფრიკის უდაბნოების ქვიშასავით დაიფანტა.

მიმომხილველი.

(„პრავდა“, 1 დეკემბერი).

გერმანიის ავიაციის დანაკლისი ომის განმავლობაში

ლონდონი. ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადასცემს განცხადებას, რომელიც უარჰყოფს გერმანელთა მტკიცებას, რომ ინგლისელებმა თითქოს არა თუ ვერ შესძლეს გერმანიისათვის რამდენადმე მნიშვნელოვანი ზარალის მიყენება რუსეთის კამპანიის დროს, არამედ თვითონ 1941 წლის დამდეგიდან დაკარგეს 2.501 თვითმფრინავი, მაშინ როდესაც გერმანელებმა ამ პერიოდში თითქოს მხოლოდ 602 თვითმფრინავი დაკარგეს. ამ მტკიცებას ლონდონში განიხილავენ როგორც მოკავშირეთა შორის შუღლის ჩამოგდების ცდას. ამასთან დაკავშირებით ინფორმაციის სამინისტროს მოჰყავს ციფრები ინგლისისა და გერმანიის ნამდვილი დანაკლისისა ამა წლის 1 იანვრიდან 31 ოქტომბრამდე.

ამ პერიოდში გერმანელებმა გერმანიის ტერიტორიაზე და ოკუპირებულ ქვეყნებში დაკარგეს 1426 თვითმფრინავი, ხოლო ინგლისელებმა—1311. ახლო აღმოსავლეთში გერმანელებმა დაკარგეს 627 თვითმფრინავი, ხოლო ინგლისელებმა—378. ამრიგად, გერმანიის ავიაციის საერთო დანაკლისი საომარი მოქმედების ორივე ასპარეზზე ათი თვის განმავლობაში შეადგენს 2053 თვითმფრინავს, ხოლო ინგლისის დანაკლისი — 1689 მანქანას. გარდა ამისა, გერმანიის თვითმფრინავები დიდი რაოდენობით განადგურებულ იქნა აეროდრომებზე. ყველა ამ ცნობებში აღრიცხული არ არის მტრის თვითმფრინავები, რომლებიც ისე სერიოზულად დაზიანდნენ, რომ ალბათ დაიმსხვრნენ, ვიდრე თავის ბაზებს მიაღწევდნენ.

როგორც ზემომოყვანილი ცნობებიდან სჩანს, გერმანელები ორი მესამედით ამცირებენ თავიანთ დანაკლისს და 50 პროცენტით აზვიადებენ ინგლისის დანაკლისს. საჭიროა აგრეთვე მივიღოთ მხედველობაში, რომ თუ მაისს აქეთ ინგლისს არ განუცდია რამდენადმე მნიშვნელოვანი ბომბარდირება, ინგლისის ავიაციამ უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში გერმანიაში ჩამოჰყარა 20 ათას ტონაზე მეტი ბომბები. გერმანიის იმ თვითმფრინავთა რაოდენობა, რომლებიც მოსპობილ იქნა ომის დაწყებიდან ნოემბრის დამდეგამდე, შეადგენს 6.166-ს, თუ არ ჩავთვლით გერმანელთა დანაკლისს ახლო აღმოსავლეთში და მხედველობაში არ მივიღებთ ჰოლანდიელი, ბელგიელი და ფრანგი მფრინავების მიერ დასავლეთის კამპანიის დროს მოსპობილ თვითმფრინავებს.

ვიშის მთავრობა დათანხმდა გადასცეს გერმანიას ტულონისა და ბიზერტის საავიაციო ბაზები

ლონდონი. „დეილი მეილის“ მადრიდელი კორესპონდენტი სწერს, რომ არსებული ცნობებით, ვიშის მთავრობა დათანხმდა გადასცეს გერმანიას საავიაციო ბაზები ტულონსა და ბიზერტაში, რომელთა გამოყენებით იგი შესძლებს ლიბიაში გენერალ რომმელისათვის მაშველი ძალებისა და საომარი მასალების გზავნას. ვიშიდან მიღებული ცნობებით, გერმანიამ თავდაპირველად მოითხოვა, რომ მისთვის სავსებით გადაეცათ ტულონისა და ბიზერტის ნავსადგურები, რათა მოეწყო ჯარებისა და იარაღის გზავნა. კორესპონდენტი იუწყება, რომ ამ მოთხოვნას ძლიერ დაუჭირა მხარი დარლანმა. პეტენი კი მერყევ პოზიციას დაადგა. მეორე მოთხოვნას — საავიაციო ბაზების გადაცემის შესახებ — კიდევ უფრო ძლიერი ზემოქმედება უქონდა, და პეტენმა ეს მოთხოვნა მიიღო.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი. ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 28 ნოემბერს დღისით „ჰადსონის“ სანაპირო ავიაციის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს მტრის სატვირთო გემებზე ნორვეგიის სანაპიროსთან. ბომბები მოხვდა პატარა ტანკერს, რომელსაც ცეცხლი გაუჩნდა და სწრაფად ჩაიძირა. ბომბები დაუშინეს აგრეთვე ორ გემს, მაგრამ ცუდი ამინდის გამო შეუძლებელი იყო შედეგის გამორკვევა. „ჰადსონის“ სხვა თვითმფრინავები თავს დაესხნენ მტრის გემებს ჰოლანდიის სანაპიროსთან. ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა. ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში აგრეთვე ნათქვამია, რომ 28 ნოემბერს ღამით მტრის თვითმფრინავებმა ბომბები ჩამოყარეს დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ინგლისის, აგრეთვე სამხრეთ უელსის სხვადასხვა პუნქტებში. ამ თავდასხმამ სამხრეთ უელსის ერთ პუნქტში გამოიწვია ერთგვარი ზარალი. მსხვერპლთა რაოდენობა უმნიშვნელოა, მაგრამ არის რამდენიმე მოკლული. ღამის განმავლობაში ინგლისელებმა ჩამოაგდეს მტრის ერთი თვითმფრინავი.

ამერიკის საელჩო ურჩევს ამერიკელ რეზიდენტებს იაპონიიდან წასვლას

ტოკიო. როგორც დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, ამერიკის საელჩომ ტოკიოში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ინსტრუქციის შესაბამისად, ურჩია ამერიკელ რეზიდენტებს იაპონიაში გაითვალისწინონ, რომ სანაოსნო მიმოსვლა წყნარ ოკეანეზე ამჟამად ფრიად გაძნელებულია და არავითარი გარანტიის მიცემა შესაძლებელი არ იქნება. ამჟამად შეუძლებელია სატრანსპორტო საშუალებათა საკმაო რაოდენობით მიცემა. ამიტომ საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება ევაკუაციისათვის. ამასთან დაკავშირებით ამერიკის საელჩოს სურს, რომ გემით (სახელწოდება გაურკვეველია) 2 დეკემბერს რაც შეიძლება მეტი ამერიკელი რეზიდენტი წავიდეს.

გერმანიაში ხოცავენ მძიმედ დაჭრილ ჯარისკაცებს

ლონდონი. როგორც გაზეთი „დეილი მეილი“ იუწყება, გერმანიაში ჰოსპიტლები არ ჰყოფნით უამრავი დაჭრილებისათვის, რომლებიც რუსეთის ფრონტიდან ჩაჰყავთ. რათა მდგომარეობა გამოარკვიონ, სპეციალური ექიმები ათვალიერებენ საავადმყოფოებსა და ფსიქიატრიულ კლინიკებს და ადგენენ იქ სიებს გესტაპოსათვის. ყველას, ვისაც ამ სიებში შეიტანენ, ხოცავენ. გარდა ამისა, გაცემულია ბრძანება დახოცონ მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცები, რომელთა მდგომარეობა უიმედოა.

ცნობა სახაზო გემ „მალაიას“ შესახებ

ლონდონი. როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო აცხადებს, ოფიციალურად იუწყებიან, რომ სახაზო გემი „მალაია“, რომლის ჩაძირვისა და დაზიანების შესახებაც მტერი იუწყებოდა, მშვენიერ მდგომარეობაშია. კრეისერ „მანჩესტერის“ რემონტი სწარმოებს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ინგლისისა და გერმანიის გემების ბრძოლა პა-დე-კალეში

ლონდონი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ, ლონდონში მიღებული ცნობების თანახმად, 28 ნოემბერს ღამით პა-დე-კალეს სრუტეში ინგლისისა და გერმანიის გემებს შორის მოხდა ბრძოლა.

ამერიკის ჯარების ჩასვლა ჰოლანდიის გვიანაში

ნიუ-იორკი. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი პარამარიბოდან (ჰოლანდიის გვიანა) იუწყება, იქ ჩავიდა სამი ტრანსპორტი ამერიკის ჯარებითა და საჭურვლით. მას შემდეგ, რაც ახალი ყაზარმები აშენდება, ჰოლანდიის გვიანაში ამერიკის ჯარების კიდევ დიდი კონტინგენტი ჩავა.

ჰოლანდიის ინდოეთის პრესა მიესალმება ჰოლანდიის გვიანაში ამერიკის ჯარების გაგზავნას

ნიუ-იორკი. როგორც ჰოლანდიის სააგენტო „ანეტა“ ბატავიიდან იუწყება, ჰოლანდიის ინდოეთის პრესა მიესალმება ჰოლანდიის გვიანაში ამერიკის ჯარების გაგზავნას ბოქსიტების სამადნეთა დასაცავად, როგორც იმის ახალ დამამტკიცებელ საბუთს, რომ ჰოლანდიის მთავრობისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობა ძლიერდება. ბევრი გაზეთი სინანულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ ბოქსიტების სამადნეთა დასაცავად საჭირო გახდა უცხოეთის დახმარება. მაგრამ გაზეთები აღნიშნავენ, რომ ალბათ არსებობს სერიოზული მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია გადაწყვეტილება ჰოლანდიის გვიანაში ამერიკის ჯარების გაგზავნის შესახებ.

გაზეთი (სახელწოდება გაურკვეველია) აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მოახდენენ დასავლეთ ნახევარსფეროში საფრანგეთის სამფლობელოთა ოკუპაციას, თუ ეს საჭირო გახდა ნაცისტების აქტივობის აღსაკვეთად.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

ტუნგოს ნაყოფის გამწმენდი მანქანა

საქართველოს საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა—მექანიზატორმა ამხ. ლევჩენკომ და აგრონომმა ამხ. კაჩიბაიამ გამოიგონეს ტუნგოს ნაყოფის გამწმენდი მანქანა. მანქანის გამტარუნარიანობაა 5 ტონა ნაყოფი დღეში. დღემდე ტუნგოს ნაყოფს ხელით სწმენდნენ. ერთ მუშას დღეში შეუძლია გასწმინდოს დაახლოებით 10 კილო ნაყოფი.

მანქანა შესდგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: ბუნკერის, პირველი და მეორე რიგის ვალცისა და გამრჩევი საცერისაგან. ნაყოფი ბუნკერიდან პირველი რიგის ვალცებში მიდის, სადაც ხდება მისი დაჭყლეტა. მეორე რიგის ვალცში იგი ნამსხვრევებად იქცევა და შემდეგ სპეციალურ საცერზე იწმინდება სანაყოფგარემოსაგან.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა მოიწონა ეს ახალი გამოგონება. ტუნგოს ნაყოფის გამწმენდი მანქანის გამოყენება იძლევა რამდენიმე მილიონი მანეთის ეკონომიას წელიწადში. მანქანის კონსტრუქცია მეტად მარტივია და იგი შეიძლება დადგმულ იქნას უშუალოდ ნაყოფის კრეფის ადგილზე. (საქდესი).

ახალი კინოთეატრი

რუსთაველის პროსპექტზე, ცენტრალურ საჭადრაკო-საშაშო კლუბის დარბაზში, დაიწყო მუშაობა კინოფიკაციის სამმართველოს კინოქრონიკის თეატრმა. კინოქრონიკის თეატრის სეანსი 45 წუთით განისაზღვრება. ამ ხნის განმავლობაში მაყურებლები ნახულობენ სამამულო ომის ქრონიკას, მოკლემეტრაჟიან ფილმებს თავდაცვით თემებზე, ტექნიკურ ფილმებს და სხვ. ამჟამად თეატრის პროგრამაშია შემდეგი მოკლემეტრაჟიანი ფილმები: „შავ მთებში“, „საბრძოლო ეპიზოდები სამამულო ომის ფრონტებიდან“ და სხვ.

სეანსები იწყება დილის 11 საათიდან.

თეატრებში

სახოპერა — 2 დეკემბერს — „აიდა“, 3 დეკემბერს — „მთების გული“, 4 დეკემბერს—„ტოსკა“, **რუსთაველის სახელობის** — 2 დეკემბერს — „კიკვიძე“, 3 დეკემბერს — „რღვევა“, 4 დეკემბერს — „პროფესორი მამლოკი“. **მარჯანიშვილის სახელობის** — 2 დეკემბერს — „მარგარიტა გოტიე“, 3 დეკემბერს — „მკაცრი ქალიშვილები“, 4 დეკემბერს — „ცხვრის წყარო“. **სანკულტურის ქართული თეატრი** — 2 და 4 დეკემბერს — „აჯილდა“, 6 დეკემბერს — „სტუმარ-მასპინძლობა“. **მუსიკალური კომედიის** — 3 დეკემბერს — „ხაჯარათი“, 4 დეკემბერს — „თივა და ავი ძაღლი“, 5 დეკემბერს — „სკაპენის ოინები“. **გრიბოედოვის სახელობის** — 2 და 4 დეკემბერს — „ლიუბოვ იაროვაია“, 4 დეკემბერს— — „დედინაცვალი“.

სალამო-წარმოდგენა თავდაცვის ფონდის სასარგებლოდ

ხულოს რაიონის საკოლმეურნეო თეატრის კოლექტივი, რომელიც აჭარელი კოლმეურნე ახალგაზრდობისაგან შესდგება, სამამულო ომის დღეებში წარმატებით განაგრძობს მუშაობას უდოტაციოდ. თეატრს ხელმძღვანელობს ახალგაზრდა რეჟისორი ამხ. გრ. მდივანი.

ამ დღეებში თეატრის კოლექტივმა მოაწყო სალამო-წარმოდგენა თავდაცვის ფონდის სასარგებლოდ. წარმოდგენილ იქნა სამამულო ომის თემაზე დაწერილი ერთმოქმედებიანი პიესები: „სიზმარი ამიხდა“, „ვიქტორინა“ და „შებრუნებით“. კოლმეურნე მაყურებლები კმაყოფილი დარჩნენ ახალგაზრდა მსახიობების: ნერვიზ ჯორბენაძის, მევლუდ რიჟვაძის, თოფან მელაძის, დ. მეგრელიძისა და სხვ. თამაშით.

სალამო-წარმოდგენიდან შემოსული მთელი თანხა—6.500 მანეთი—ჩარიცხულ იქნა თავდაცვის ფონდში.

თეატრს გადაწყვეტილი აქვს ასეთივე სალამო-წარმოდგენები მოაწყოს რაიონის სასოფლო საბჭოებსა და კოლმეურნეობებში.

ვ. შავგულიძე

საქდესის გასწორება

„კომუნისტის“ 25 ნოემბრის ნომრის 1-ლ გვერდზე მოთავსებული „სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელ და უშვილო მოქალაქეთა გადასახადის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-9 მუხლი უნდა იკითხებოდეს: 6 მუხლში ჩამოთვლილი გადამხდელნი გადასახადს თანაბარ ნაწილად იხდიან 4 ვადად: 1 აპრილისათვის, 1 ივლისისათვის, 1 ოქტომბრისათვის და 15 დეკემბრისათვის.

სათხილამურო სეზონისათვის მზადება

საქართველოს მაღალმთიან ადგილებში პირველი თოვლი მოვიდა და ახლო მდებარე რაიონების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა დაიწყეს გაცხოველებული მზადება სათხილამურო სეზონისათვის.

ბაკურიანის სათხილამურო სადგური სეზონს ყოველმხრივ მომზადებული ეგებება; ტრამპლინი აგებულია, სადგურის ნაგებობანი და მთელი სათხილამურო ინვენტარი გარემონტებული და წესრიგშია მოყვანილი. სათხილამურო სადგურთან არის სასტუმრო 150-მდე საწოლით. სადგურთან მოწყობილია აგრეთვე სასადილო და ბუფეტი.

საბჭოთა დავოსის — ბაკურიანის სათხილამურო სადგურის სრული დატვირთვით მუშაობა მიმდინარე წლის 1 დეკემბრიდან დაიწყო. სათხილამურო სეზონის გახსნის პირველ დღეებშივე ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტი საქართველოს რაიონებისათვის აწყობს სათხილამურო სპორტის ინსტრუქტორთა გადასამზადებელ მოკლევადიან კურსებს. აქ, მსმენელები შეისწავლიან თხილამურებზე სიარულის დროს სხვადასხვა მდგომარეობიდან ხელყუმბარის ტყორცნას, დაეუფლებიან ხიშტით ბრძოლის ხერხებს და სპორტის სხვა სამხედრო-გამოყენებითი სახეებს.

სათხილამურო სეზონის განსაკუთრებით ფართო პროგრამას სახავს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა თბილისის კომიტეტი. გასულ წელს მიღებული პრაქტიკის საფუძველზე ამჟამად ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტი კოჯორში აწყობს სათხილამურო ბაზას 100 ფიზკულტურელისათვის. კოჯრის სათხილამურო ბაზა მომსახურებას გაუწევს ქ. თბილისის საყოველთაო - სავალდებულო სამხედრო სწავლების ბატალიონებს. აქ მებრძოლები კვირაობით თხილამურებზე სიარულში ივარჯიშებენ. დანარჩენ დღეებში კოჯრის სათხილამურო ბაზა მოემსახურება ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს, წარმოება-დაწესებულებათა და სკოლების ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს.

ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტი დეკემბრის პირველ რიცხვებში აწყობს სათხილამურო სპორტის საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა მოსამზადებელ მოკლევადიან კურსებს 30 მსმენელისათვის. (საქდესი).

ბავშვთა შემოქმედების გამოფენა

თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლეში მოეწყო ნიჭიერ ბავშვთა შემოქმედების ორი გამოფენა. პირველ გამოფენას, რომელიც მოწყობილია ლენინ-სტალინის სექტორში, ეწოდება — „ლენინი და სტალინი სამოქალაქო ომის პერიოდში“.

დიდ და ნათელ დარბაზში წარმოდგენილია ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების და მაკეტების 40-მდე ექსპონატი.

აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თბილისის მე-18 სკოლის VI კლასის მოწაფის გოგი თოთიბაძის ექსპონატები. ნორჩი მხატვრის მიერ ზეთის საღებავებით ოსტატურად შესრულებული ნახატები—„საბჭოთა კავშირის გმირი თავის ვაჟს მოუთხრობს საბრძოლო ეპიზოდებს“ და „სტალინური ეპოქის ბედნიერი თაობა“—მნახველზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს.

თბილისის 42-ე სკოლის მოწაფეს ზაკამსკის ზეთის საღებავებით საუკეთესოდ აქვს შესრულებული, დიდი სტალინის პორტრეტი. კარგია აგრეთვე მე-80 სკოლის მე-9 კლასის მოწაფის რ. ფარაჯანოვის ნახატი—„შეტევაზე“ და ა. ბარამიძის (მე-16 სკოლა) — „ლენინი მუშებს შორის“.

გამოფენაზე წარმოდგენილი მაკეტებიდან ყურადღებას იპყრობს ამხ. სააკიანის ხელმძღვანელობით პიონერთა ჯგუფის მიერ შესრულებული მაკეტი — „ვოროშილოვი ცხენზე“.

პიონერ ეთერ იამანიძეს მარმარილოსაგან ფაქიზად აქვს გამოკვეთილი წიგნი—„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“.

მეორე გამოფენას, რომელიც მოწყობილია ისტორიის კაბინეტთან, ეწოდება „პიონერები სამამულო ომის პერიოდში“. პიონერების ნამუშევრებთან ერთად ამ გამოფენაზე თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი ოქტომბრელთა სექტორის ექსპონატებიც: ნახატები, მაკეტები, გემების მოდელები, ნაქარგები, წითელარმიელთათვის მოქსოვილი ხელთათმანების, წინდებისა და ყელსახვევების ნიმუშები და სხვ.

მნახველზე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს პიონერ ჯიბსონ ხუნდაძის ზეთის საღებავებით შესრულებული ნახატი—ეპიზოდი თანამედროვე სამამულო ომიდან.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სატირის ფანჯარა—„სიკვდილი ფაშიზმს“. აქ წარმოდგენილია პიონერების არუთინოვის, გაბრიელოვის და პეტროსიანის მიერ ოსტატურად შესრულებული მაკეტი: „ჰიტლერისა და მისი დამქაშების დაღუპვა უფსკრულში“ და აგრეთვე „ფაშისტთა საფლავები“.

ლექციები მოხსენებები

2 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო სააგიტაციო პუნქტის სალექციო დარბაზში (ლადო კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლი) შესდგება აკადემიკოს **ჯანაშიას** მოხსენება ქართულ ენაზე. თემა: **„ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ I-X საუკუნეებში“.**

2 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, ცეკავშირის კლუბში (ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანი № 7) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი“.**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლ. პ. ბერიას სახელობის რაიკომის რაიონულ აგიტპუნქტში.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „საბრძოლო კინოკრებული № 5“, ოქტომბერი — „პროფესორი მამლოკი“, დამკვრელი — „ბრძოლა გრძელდება“, სპარტაკი — „ცხოვრების გზაზე“, ლუქსემბურგის სახ.—„ჭაბუკი ტაიგიდან“, 26 კომ. სახ. — „ვაჟკაცობა“, კომინტერნი — „მუსიკალური ისტორია“, მეცნიერება და ცოდნა — „ესკადრილია № 5“.

თბილისის სახცირკი

მხატვრული მრავალფეროვანი პროგრამა. ფრანგული ჭიდაობის მატჩები.

3 დეკემბერს ჭიდაობენ: ვსევოლოდ ხერცი — იარკოვი, ოსმან აბდურახმანოვი—შევჩუკი, ყარა მუსტაფა — გურსკი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ხელისმომწერთა საყურადღებოდ
დაიწყო ხელისმოწერა 1942 წლისათვის რესპუბლიკურ, საოლქო და სარაიონო გამოცემებზე

მკითხველთა უკეთ მომსახურების მიზნით, ხელის მოწერა ჩააბარეთ **დროულად და ხანგრძლივი ვადით**, ეს გააუმჯობესებს პრესის დამუშავებისა და ჩაბარების ხარისხს.

მოქალაქენო!

ხელის მოწერის დროს გულდასმით შეამოწმეთ მიღებული ქვითრების სისწორე და თქვენი მისამართის სიზუსტე.

ხელის მოწერა ჩააბარეთ „სოიუზპეჩატის“ განყოფილებებში, საფოსტო დაწესებულებებში, წერილის დამტარებლებს, რომლებსაც სათანადო რწმუნება აქვთ, „სოიუზპეჩატის“ ორგანიზატორებს და პრესის გამავრცელებელ საზოგადოებრივ რწმუნებულებს საწარმო-დაწესებულებებში.

შეინახეთ მიღებული ქვითრები ხელის მოწერის ვადის დამთავრებამდე.

„საქსოიუზპეჩატი“.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 41454